„ა(ა)იპ“ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

მერი თამაზაშვილი

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვა საუკეთესო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო შედეგის მისაღწევად

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია განათლების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი ხათუნა ხალვაში,
განათლების აკადემიური დოქტორი

ხიჭაური
2020

ანოტაცია

განათლების მაგისტრანტ მერი თამაზაშვილის ნაშრომი „სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვა საუკეთესო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო შედეგის მისაღწევად“ აღნიშნულია, რომ მშობელთა სასკოლო პროცესში ჩართულობა მნიშვნელოვანია და აუცილებელია, თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემაში, რადგან მშობელზეა დამოკიდებული ბავშვის მომავალი, მშობელმა უნდა მოამზადოს ფსიქოლოგიურად იმისათვის, რომ მიიღოს შესაბამისი და სრულყოფილი განათლება, მშობელთან ერთად მონაწილეობას ღებულობს ცოდნის გაღრმავებაში მასწავლებლები, რომლებიც ჩაუნერგავენ გონებაში სწავლის მნიშვნელობას თუ რაოდენ ღირებულია სწავლა მომავალი ცხოვრებისათვის.

ნაშრომის მიზანია სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის პრობლემის იდენტიფიცირება და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ვითარების შესწავლა, პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება, მშობელთან ურთიერთობის ხერხებისა და საშუალებების განსაზღვრა.

კვლევის ამოცანებია ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროებიდან; ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; ზოგადი სურათის წარმოჩენა; პრობლემის განსაზღვრა; სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის მშობელთა სასწავლო ცხოვრებაში ჩართვის მნიშვნელობის დასაბუთება; მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის სტრატეგიების შემუშავება; რეკომენდაციები მშობელთა ჩართულობისათვის.

ნაშრომი განკუთვნილია მაწავლებლებისა, სტუდენტებისა და მშობლებთათვის.

Annotation

The Thesis of Master of Education Meri Tamazashvili. The parent involved in school life is the guaianree af achieving the best educational and upbringing result.

It's clearly, that parents involvement in school process is important and necessary in modern educational system, because children's future is eddicted to them. Parents have to prepare psychologically theis children to got appropriate and complete education. With parents also teacher's take part in pupil's knowledge to educational improvement, they teach them meaning at learing and how valuable is it for their future life .

The goal at thesis is the identification at problems about parents involvement in learing process and research cpnditions in Georgian problem. Define methods and opportunities at communication with parents.

The research's targot is to got information from different sources, to process inforination and analyxe it, to present general picture, define the problem, to prove the necessity at involvingparents in the learing process, recommendations for involving parents.

The scientific news at the research is to prove the necessity at involving parents in the learning process in order to reach the best edactional and upbringing result making strategies for involving parents in the learning. process, recommendations for involving parents

According to the analyzing the reseach's results there is some conclusions Materials are represented with examples, whivh increases their practiqal using opportunities.

This thesis is for teachers, students and parents.

სარჩევი

შესავალი

თავი I. სკოლისა და ოჯახის როლი აღზრდის პროცესში

§1. პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები სკოლისა და ოჯახის როლზე აღზრდის პროცესში

§2. სკოლისა და ოჯახის როლი მოზარდის აღზრდა-განათლების საკითხში

თავი II. მშობლის როლი ეროვნულ სასწავლო გეგმაში

§1. ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის ხელშეწყობა,

§2. სახლში სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება,

§3. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა,

§4. შვილთან კომუნიკაციის პროცესში ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება

თავი III. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა

§1. საერთაშორისო გამოცდილება

§2. დამრიგებლებისათვის რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან

§3. მშობელთა წარმატებული ჩართულობის ბარიერები

§4. ინკლუზიური განათლების მიმართულებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა

§5. სტრატეგიები მშობელთა ჩართულობის გაზრდისათვის

§6. მშობელთან ერთად შესასრულებელი დავალებები

კვლევითი ნაწილი

დასკვნები და რეკომენდაციები

გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

თემის აქტუალობა: თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში მშობელთა ჩართულობის საკითხი მეტად აქტუალურია, მშობელი უზრუნველყოფს შვილის მომზადებას იმისათვის რომ მიიღოს სათანადო განათლება, ამიტომ მშობლები სასწავლო პროცესში აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები. მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში საწყისი ეტაპიდან არის მნიშვნელოვანი, რადგან თავიდან ბავშვი არის დამოკიდებული მშობელზე, ეხმარება დავალებების შესრულებაში, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება მოსწავლის დამოკიდებულების ხარისხი და მშობელი უფრო სხვა დატვირთვას იძენს, თუ ადრე მშობელი სრულად იყო ჩართული ყველა კონტენტში, შემდეგ უფრო დახმარების ფორმატში გადადის მისი როლი.

თანამედროვე საქართველოში განათლების სისტემა რეფორმებისა და განვითარების გარდამავალ ეტაპზეა, მშობელთა აქტუალურ თემას წარმოადგენს და ეს განათლების სამინისტროს რეფორმასა და სასწავლო გეგმაში არის გაწერილი, რაც უფრო იხვეწება განათლების სისტემა, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მშობლის როლი სასწავლო ცხოვრებაში.

აღნიშნულ თემაზე უამრავი კუთხით შეიძლება საუბარი, მაგრამ მთავარი ერთია, რაც უფრო მეტად არის მშობელი ჩართული და დაინტერესებული შვილის სასკოლო ცხოვრებით მით უფრო მეტი შანსია მოსწავლემ მიიღოს სრულყოფილი და ხარისხიანი განათლება.

ნაშრომის მიზანი: სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის პრობლემის იდენტიფიცირება და ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული ვითარების შესწავლა, პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება, მშობელთან ურთიერთობის ხერხებისა და საშუალებების განსაზღვრა.

კვლევის ამოცანები: ინფორმაციის მოპოვება სხვადასხვა წყაროებიდან; ინფორმაციის დამუშავება და ანალიზი; ზოგადი სურათის წარმოჩენა; პრობლემის განსაზღვრა; სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის მშობელთა სასწავლო ცხოვრებაში ჩართვის მნიშვნელობის დასაბუთება; მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში

ჩართვის სტრატეგიების შემუშავება; რეკომენდაციები მშობელთა ჩართულობისათვის.

კვლევის მეთოდები: სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ამ სფეროში დაგროვილი მეცნიერული გამოცდილება, ისტორიული სინამდვილე, წყაროების ანალიზი, შედარებითი ანალიზი, დაკვირვება და გამოცდილების შესწავლა, ინტერვიურება და ანკეტირება.

კვლევის მეცნიერულ-ტექნიკური ბაზა: უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ელექტრონული ბიბლიოთეკა, ინტერნეტი

კვლების მეცნიერული სიახლე: საუკეთესო საგანმანათლებლო და სააღმზრდელო შედეგის მისაღწევად სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის დასაბუთება. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის სტრატეგიების შემუშავება; რეკომენდაციები მშობელთა ჩართულობისათვის.

კვლევის შედეგების პრაქტიული გამოყენების სფეროს წარმოადგენს: მოსწავლეები, მასწავლებლები. კერძოდ, კვლევის შედეგები დაეხმარება სტუდენტებს სწავლებისა და აღზრდის თეორიაში სემინარების მომზადებაში. სკოლის მასწავლებლებს სწავლების ხარისხის ამაღლებაში და მშობელს სასწავლო პროცესში ჩასართავად.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება: შესავალის, სამი თავისა, თორმეტი პარაგრაფის, დასკვნისა და ლიტერატურის დასახელებისაგან. პირველ თავში განხილულია სკოლისა და ოჯახის როლი აღზრდის პროცესში, პირველ პარაგრაფში საუბარია პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებებზე. მეორე პარაგრაფში საუბარია სკოლისა და ოჯახის როლზე მოზარდის აღზრდა-განათლების საკითხში.

მეორე თავში განხილულია მშობლის როლი ეროვნულ სასწავლო გეგმაში, პირველ პარაგრაფში განხილულია ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის ხელშეწყობა. მეორე პარაგრაფში კი _ სახლში სწავლებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. მესამე პარაგრაფში საუბარია ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობაზე, ხოლო მეოთხე პარაგრაფში _ შვილთან კომუნიკაციის პროცესში ასაკობრივი ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებაზე.

მოყვანილი და დასაბუთებულია თითოეული თავის მაგალითები და მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს არსებული ვითარების მოგვარებას.

მესამე თავის, მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა, პირველ პარაგრაფში განხილულია საერთაშორისო გამოცდილება, მეორე პარაგრაფში დამრიგებლისათვის რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან, მესამეში კი მშობლებთან წარმატებული ჩართულობის ბარიერი, მეოთხე პარაგრაფში ასევე განხილულია ინკლუზიური განათლების მიმართულებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა, მეხუთე პარაგრაფში განხილულია სტრატეგიები მშობელთა ჩართულობის გაზრდისათვის, მეექვსე პარაგრაფში კი განხილულია მშობლებთან ერთად შესასრულებელი დავალებები. მესამე თვაში განხილულია ძირითადი და მნიშვნელოვანი საკითხები რაც დაკავშირებულია მშობელთა ჩართულობასთან სასკოლო ცხოვრებაში, თუ რა ბარიერები შეიძლება შეხვდეთ მშობელს, პედაგოგს და მოსწავლეს, ასევე მოყვანილია სტრატეგიები და მაგალითები თუ როგორ ჩავრთოთ მშობელი სასკოლო ცხოვრებაში.

ბოლოს კი მოცემულია ის დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანია მშობელთა აქტიური ჩართვისათვის სასწავლო პროცესში, დასკვნები გაკეთებულია არსებული ინფორმაციისა და ჩატარებული კვლევების საფუძველზე და მოიცავს ყველა იმ საკითხს, რომელზეც საუბარი არის აღნიშნულ საკითხზე და, ზოგადად, რაც არსებობს ქართულ საგანმანათლებლო პროცესში

თავი I. სკოლისა და ოჯახის როლი აღზრდის პროცესში

§1. პედაგოგიკის კლასიკოსთა შეხედულებები სკოლისა და ოჯახის როლზე აღზრდის პროცესში

ბავშვის აღზრდა მშობელზე და მასწავლებელზეა დამოკიდებული, მომავალი თაობის აღზრდა მიმდინარეობს სკოლაში სადაც ბავში იზრდება და ყალიბდება 12 წლის განმავლობაში უყალიბდება სწავლისა და ცხოვრებისათვის აუცილებელი ღირებულებები, სკოლასთან ერთად გადამწყვეტ და განსაკუთრებულ როლს ოჯახი ასრულებს, საფუძველი ეყრება ზნეობას და მორალს, ეთიკურ და ესთეტიკურ

შეხედულებებს, მის პიროვნულ თვისებებს, აქედან გამომდინარე აღზრდის შედეგი დამოკიდებულია ოჯახზე, რამდენად მზად არის მშობელი შვილის აღსაზრდელად. მისი პედაოგოგიური კულტურა და როგორია ოჯახის წევრებს შორის პედაგოგებთან დამოკიდებულება. სწორედ ამიტომა, ერთ-ერთ აქტუალურ თემად მივიჩნიოთ მშობელთა ჩართულობის საკითხი ბავშვის ცხოვრებაში.

ილია ჭავჭავაძე როგორც დიდ განმანათლებელს სულით ხორცამდე ჰქონდა გამჯდარი აღზრდა-განათლების მნიშვნელობა, ქვეყნის კეთილდღეობის უმთავრეს როლად მიაჩნდა განათლება, რომელსაც შეეძლო უვიცობის განადგურება,თავის ნაშრომებში ყველგან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას ილია აღნიშნავდა განათლების დიდ ძალას საზოგადოების შეგნებული ნაწილი აღიარებდა მაგრამ იყვნენ ე.წ . „გადაგვარებულები“, რომლებსაც არ სურდათ განათლების მიღება. ასეთია სწორედ ილია ჭავჭავაძის ცნობილი ნაწარმოები „კაცია-ადამიანი?!“ მთავარი პერსონაჟის ლუარსაბ თათქარიძის დამოკიდებულება განათლებაზე ის თვლიდა, რომ თუ წიგნი არ ჰქონდა წაკითხული კაცი არ იყო, ქუდი არ ეხურა. ილიამ ამ ნაწარმოებიდან დაადგინა იმდროინდელი საზოგადოების შეხედულება სწავლა-განათლების შესახებ, სწორედ ამიტომ ილიამ ლუარსაბს და დარეჯანს შვილი არ აღირსა და თითქოს ასე ამოძირკვა ასეთი ადამიანის ჯილაგი საზოგადოებიდან. ილიას ეს შეხედულება ხაზსს უსვამს იმას, რომ ბავში უპირველეს ყოვლისა მაგალითს იღებს ოჯახიდან და შემდეგ სკოლიდან, მისთვის მნიშვნელოვანი, იყო ყმაწვილის პატრიოტულად აღზრდა, რადგან ბავშვმა უნდა იცოდეს სამშობლოს წარსული

უფრო ძლიერად შეძლოს თავისი სამშობლოს დაცვა, ილიას სწავლებისა და აღზრდის შერწყმის გარეშე დაუშვებლად მიაჩნდა სასკოლო მუშაობა, ილიას აზრით მოზარდს შეგნებული ცოდნა უნდა ჰქონდეს არა მარტო სიტყვიერ სწავლებაზე დამყარებული,არამედ თვალსაჩინოებებზე აგებული,მეცნიერულ ცოდნასთან ერთად ბავშვებს უნდა გამოუმუშავდეს მთავარის დანახვის, განსჯის და აზროვნების უნარი. წინაპრების მიერ შემუშავებული ცოდნა და გამოცდილება მომავალმა თაობამ ბრმად არ უნდა აითვისოს ,არამედ გააზრებულად გადაამუშაოს და თავისი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოიყენოს, ილიამ ისიც იცოდა, რომ სკოლას განათლების მხოლოდ მინიმუმის მიცემა შეუძლია, მომავალი თაობისთვის ილიას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლას საგანმანათლებლო

საქმეში სასწავლო გეგმებს და პროგრამებს. იგი ხაზს უსვამდა იმას, რომ მოსწავლეთა სიმცირე სკოლებში სასწავლო პროგრამის უვარგისობით იყო გამოწვეული.

იაკობ გოგებაშვილმა დაწერა 150 -ზე მეტი საბავშვო მოთხრობა და სასწავლო ხასიათის წერილები, მთელი ეს სასწავლო ლიტერატურა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში შეადგენდა სულიერ საზრდოს მომავალი თაობისათვის აღზრდისათვის. გოგებაშვილი ჰუმანისტი იყო იგი განსაკუთრებულდ ყურადღებას აქცევდა ადამიანში ჰუმანურობის და ადამიანობის აღზრდას, მისი ყველა წიგნი აგებულია პიროვნების ღირსებისადმი პატივისცემაზე

ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მიხედვით სწავლების სისტემა გამსჭვალულია აღმზრდელობითი სწავლების პრინციპით, განათლების სისტემაში დიდ როლს ანიჭებდა მშობლიური ენის შესწავლას. ი. გოგებაშვილის ყველაზე დიდი დამსახურებაა „დედაენის“ შექმნა ეს სახელმძღვანელო 50 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართველ ხალხს.

ი.გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში ყურადღება გამახვილებულია ყველაზე სათუთ გრძნობაზე. გოგებაშვილი არ ივიწყებს ადამიანებში უარყოფით თვისებებს და გმობს სიხარბეს, უსაქმურობას, უპატივცემულობას, ეგოიზმსა და სხვ.

ვაჟა - ფშაველა უდიდეს, როლს შვილის აღზრდაში აკისრებს დედას, დედამ უნდა გადაწყვიტოს შვილის ბედიღბალი, შვილის მომავალი უშუალოდ დამოკიდებულია დედაზე თუ დედამ არ ჩაუნერგა ნორჩ გონებაში შვილს სიკეთისა და სიყვარულის არსი, ბავშვს არ ეცოდინება რა არის სიკეთე, ბოროტება, უმსგავსო საქციელი და სხვა. ამიტომ საჭიროა ყველა დედა იყოს განათლებული, განვითარებული, რათა შინ ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში სთესდეს თესლს სიკეთისა. დედაზეა შვილის აღზრდა დამოკიდებული, როგორსაც აღზრდის შვილს ისეთი იქნება. შვილს შეუძლია ემსახუროს სამშობლოს მუხლჩაუხრელად მაგრამ ასევე შეუძლია დაამხოს ერი.

შვილებთან პედაგოგიური მუშაობის წარმართვაში მშობელთა უმრავლესობის უმწეობის შესახებ იან ამოს კომენსკიც მიუთითებდა: „ცოტაა ისეთი მშობლები, რომლებსაც შეუძლიათ თავიანთ ბავშვებს რაიმე სიკეთე შეასწავლონ ან იმიტომ, რომ თვითონაც არაფერი ამის მსგავსი არ უსწავლიათ, ან იმიტომ, რომ გართული არიან სხვა საქმეებით და ამაზე არ ზრუნავენ.“ კომენსკი აღნიშნავს: მშობლები იშვიათად არიან დაუფლებული ბავშვის აღზრდის ხელოვნებას, ან იშვიათად აქვთ მოცალეობა

სკოლისაგან განსხვავებული შინაგანი განწყობით ცხოვრობს ოჯახში ბავშვი. ოჯახში ის ყველასათვის მთავარი ზრუნვის საგანია და შესაბამისად ბავშვიც ოჯახის წევრებისაგან მხოლოდ მზრუნველობას, მოფერებას და მოსიყვარულებას მოელის. სკოლაში მოსული კი – პირიქით, მასწავლებლისაგან რჩევა-დარიგებას, სწავლებას მოელის და ნაკლებად მოფერება-მოსიყვარულებას. აქედან გამომდინარე აღზრდის ეფექტი, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ოჯახთან შედარებით სკოლაში დროის მცირე მონაკვეთს ატარებს, მაინც მეტია სკოლაში.

ფრანგმა განმანათლებელმა ჟან- ჟაკ რუსომ დაწერა პედაგოგიური რომანი „ემილი ანუ აღზრდის შესახებ „ რუსო უდიდეს ყურადღებას აქცევდა ბავშის აღზრდას, რუსო მიმართავს მშობლებს ნუ გადაქცევთ ბავშვებს მონებად, ბუნების მეთოდებით აღზარდეთ ბავშვები, ბავშვმა იმიტომ კი არ უნდა მიიღოს რამე, რომ ის მას უნდა, არამედ იმიტომ, რომ ის მას სჭირდება. ბავშვმა ყველაფერი უნდა აკეთოს არა მორჩილების გამო, არამედ საჭიროებისათვის, ლექსიკონიდან მშობლებმა უნდა ამოიღონ მორჩილების შემცვლელი ტერმინები. მშობლები ბავშვებს უნდა მოექცნენ ასაკის შესაფერისად, მიუჩინეთ თავისი ადგილი ისე, რომ სხვაგან წასვლას არც კი ცილობდნენ.

§2.სკოლა - ოჯახი - საზოგადოება - სრულფასოვანი პიროვნების ჩამოყალიბება

ბავშვის აღზრდა ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია. ბავშვის აღზრდა იწყება ოჯახიდან და გარკვეული დროის შემდეგ ის გადადის პატრა საზოგადოებაში, რომელსაც ქვია სკოლა სწორედ სკოლაში ხდება ბავშის ფორმირება და პიროვნებად ჩამოყალიბება, რადგან ბავში როდესაც იბადება ის არის ინდივიდი და შემდეგ იწყებს პიროვნებად ჩამოყალიბებას, პიროვნებად ჩამოყალიბებაში კი დიდი როლს თამაშობს, ბავშვის მშობლები, ბებია, ბაბუა და ოჯახში შექმნილი სიტუაცია. ოჯახში რაც უფრო მშვიდი და ჰარმონიული გარემო არის მით უფრო ადვილია ბავშვის აღზრდა. ბავში ოჯახში სწავლობს უფროსების პატივისცემას, ადამიანებისადმი და

თანატოლების სიყვარულს, მაგრამ თუ ოჯახში არის კონფლიქტური სიტუაცია, ჩხუბი, კამათი, ფიზიკური შეურაცხყოფა ეს მოქმედებს ბავშვის ფსიქიკაზე, რაც იწვევს ბავშვებში აგრესიას, ჩაკეტილობას, ნერვულ აშლილობას და ბევრ სხვა უარყოფით მახასიათებელს, რაც შემდეგ აისახება ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე. მშობლებმა ბავშვებს უნდა დაეხმარონ დროის სწორად განაწილებაში, რადგან მეცადინეობა დამღლელი და მომაბეზრებელი არ იყოს ბავშვმა დასვენებაც უნდა მოასწროს მეცადინეობაც და დროულაად დაძინებაც, ასევე სასწავლო გარემო უმდა შეუქმნათ ხალისიანი განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე, მაგრამ სასკოლო-საგანამათლებლო თვალსაჩინოება ყველასათვის ხელმისაწვდომი არ არის მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ბავშვებთან ერთად დავამზადოთ საჭირო და სახალისო რესურსი, რაც ბავშვს გახდის მოტივირებულს და ხალისიანს სწავლის პროცესში.

ბავშვები იმდენად დიდ დროს ატრებენ სკოლაში მშობლებმა, უნდა იცოდნენ რა ხდება იქ საჭიროა მასწავლებლების გაცნობა, მშობელთა კრებაზე სიარული და სასკოლო ღონისძიებებზე დასწრება. ეს არის საუკეთესო საშუალება ოჯახურ და სასკოლო ცხოვრებას შორის. კარგი მაგალითია ბასტიანის სკოლის პედაგოგის და მშობლის ურთიერთობა, რომელმაც საუცხოო შედეგი გამოიღო, პედაგოგმა მშობელთან სახლში მისვლით რადიკალურად შეცვალა ბავშვის ცხოვრება, რომელსაც ქვინსი ერქვა, ქვინსი ცხოვრობდა პატარა ხის სახლში, სკოლიდან არც თუ ის შორს. ლეივინმა(მასწავლებელმა) დააკაკუნა კარებთან ქვინსის დედა მოვიდა. ის იყო ტანადი.თავის მეექვსე კლასელ ვაჟზე უფრო დაბალი ქალი. დაღლილი ჩანდა. „საღამო მშვიდობისა - თქვა ლეივინმა. - მე ლეივინი ვარ, ქვინსის მასწავლებელი. შეიძლება შემოვიდე?“ ქალი გაკვირცებული და შეშინებული ჩანდა, სახლის ზღურბლთან რომ ხედავდა მასწავლებელს. მასწავლებლებთან მის შვილზე საუბრები იშვიათად ყოფილა სასიამოვნო, მაგრამ სტუმარი მაინც მიიწვია შინ.მასწავლებელი დივანზე ჩამოჯდა და ქალს გულწრფელი, სევდიანი მზერა მიაპყრო. „მე ნამდვილად ცუდად ვგრძნობ თავს. დღეს რაღაც მოხდა კლასში. არ ვიცი იცით თუ არა, თქვენი შვილი სხვა ბავშვებს რომ ურტყამს“. „მე ვიცნობ ჩემ შვილს“. - თქვა ქალმა გულგრილი ხმით. „დღეს არ მისმენდა გაკვეთილზე და მომიხდა მისი ძალით მიყვანა მის სკამთან“. ქალმა თავი დაიქნია. „იმედია, ყურადღებას არ მიაქცევთ ჩემს საქციელს. იმედია, აღარ მომიხდება ამის ჩადენა“. „გააკეთეთ ყველაფერი, რაც საჭიროდ მიგაჩნიათ, - ქალმა დაინახა, რომ ლეივინმა შვება იგრძნო. - ყური მიგდეთ,

- თქვა მან, - თქვენ პირველი მასწავლებელი ხართ, რომელიც ჩემთან სახლში მოვიდა. როგორც მიგაჩნიათ, ისე მოიქეცით ჩემს შვილთან. ის ყურს არ მიგდებს. გააკეთეთ, რასაც საჭიროდ თვლით“. სახლიდან გამოსული ლეივინ თავს უკეთ გრძნობდა,პედაგოგმა ამით გამოხატა ბავშვისადმი ვალდებულება, რომ ბავშვში არის პრობლემა და საჭიროებს დახმარებას, ამ შეხვედრით შეიძლება არ გახდეს საუკეთესო მოსწავლე მაგრამ ეცოდინება თუ როგორ მოიქცეს საზოგადოებაში, პატივი რომ უნდა სცეს თანტოლებს და მასწავლებლებს.განათლების სისტემის ერთ-ერთი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ბავშვები აკადემიურ მოსწრებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს არა იმისათვის,რომ ცოდნა გააღრმავონ და შემდეგ პრაქტიკაში გამოიყენონ ,არამედ იმისათვის ,რომ ჰქონდეთ მაღალი ქულა და იგრძნონ თავი ვიღაცაზე ჭკვიანად ამ პრობლემის აღმოფხვრა შესაძლებელია ბავშვებთან საუბრით, რომ ცოდანა გაჰყვებათ სიკვდილის ბოლომდე და ნიშანი არ განსაზღვრავს ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.

რა თქმა უნდა, ყველა მშობლის მიზანია, ბავშვი წარმატებულ პიროვნებად აღზარდოს, თუმცა ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩება, თუ სკოლა და ოჯახი ერთობლივად და შეთანხმებულად არ იმუშავებენ ბავშვის აღზრდის პროცესში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობასთან დაკავშირებით სიახლეებს ნერგავს. რომელთა მიხედვით, კლასის დამრიგებლის მშობელთან რეგულარული კომუნიკაცია სავალდებულო ხდება. თავის მხრივ, მშობელს ეძლევა საშუალება სკოლის სრულფასოვანი პარტნიორი იყოს. სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი მიმართულებაა ასევე მშობელთა საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედება. როგორც განათლების მინისტრი აღნიშნავს, მშობელთა განათლების პროგრამაში ჩართვა ნებაყოფლობითი იქნება, თუმცა სამინისტროს მიზანია, პროგრამაში რაც შეიძლება მეტი მშობელი ჩაერთოს.

სკოლის ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის პროგრამის ერთი ნაწილი, კლასის დამრიგებლისა და მშობლის კომუნიკაციის ინტენსივობას შეეხება. მშობელს შეიძლება არ ჰქონდეს დრო სკოლაში ვიზიტისათვის, პირადი ურთიერთობის გარდა არსებოს ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია, მოკლე ტექსტური შეტყობინებით მიწოდებული ბავშვი შესახებ ინფორმაცია, როდესაც მშობელი არ არის ინფორმირებული ბავშვის აკადემიური მოსწრების შესახე სწავლის პრობლემები

უფრო და უფრო ღრმავდება, შესაბამისად, სკოლებში მშობლების ინფორმირების მექანიზმების დანერგვა მისასალმებელია. ამგვარი პრაქტიკა არსებობს დასავლეთში და ზოგიერთ კერძო სკოლაში საქართველოში. მოსწავლეების მიღწევების შესახებ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ 7 წლის ბავშვის განვითარების პროცესში დედის და მამის ჩართულობა მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს მოგვიანებით, 17-18 წლის ახალგაზრდის წარმატებებზე. მშობელთა ჩართულობაში ამჯერად იგულისხმება ბავშვთან ერთად გატარებული დრო, მშობლების დაინტერესება ბავშვის განათლებით და შვილთან ერთად კითხვა, ასევე მშობლებმა უნდა აგრძნობინონ ბავშვებს, რომ მათ უფრო მეტი შეუძლია ვიდრე მათ ჰგონიათ ბევრი უნდა იშრომონ, რომ მიაღწიონ წარმატებას და გახდნენ წარმატებულები. მშობლები, რომლებიც მაღალი შეხედულების არიან შვილის მიღწევებზე, უფრო აქტიურად არიან ჩართულნი შვილის განათლების მიღების პროცესში.

დღევანდელი საყოველთაო პრობლემებიდან გამომდინარე ურთიერთობა სკოლა - ოჯახი - საზოგადოება ირღვევა. მშობელი ნაკლებად იცლის სკოლასთან თანამშრომლობისათვის. მშობლის მოუცლელობა მასწავლებელს არ აძლევს საშუალებას სხვადასხვა საინტერესო საქმიანობები განახორციელოს, აქედან შეიძლება ითქვას მშობლის მონაწილეობა სასწავლო პროცესის წარმართვაში იძულებითია, ძნელად გადასაჭრელი პრობლემის დროს მშობელი მთელ პასუხისმგებლობას სკოლას, მასწავლებელს და დირექტორს აკისრებს.ზოგიერთ მშობელს არ სურს გააცნობიეროს, რომ საკუთარი შვილის და სკოლის ცხოვრების ნაწილია.

„თითოეული მოქალაქის, თითოეული მშობლის ავკარგიანობაზე მსჯელობენ იმის მიხედვით თუ როგორი შვილი აღუზარდა მან სამშობლოს, რას წარმოადგენს მისი აღზრდილი საზოგადოებისათვის, ქვეყნსათვის. ოჯახის გარდა მომავალი თაობის აღზრდას ემსახურება სასწავლო-სააღმზრდელო დაწესებულებათა ფართო ქსელი, მაგრამ ყოველივე ეს არ ათავისუფლებს მშობელს ბავშვთა აღზრდისათვის პასუხისმგებლობისგან, მათზე ზრუნვისა და აღზრდისაგან. ბავშვთა სწორი აღზრდა ყოველი მშობლის ვალია, არც სკოლას და არც სხვა სააღმზრდელო დაწესებულებას არ შეუძლია შეცვალოს მშობლის როლი, ოჯახისა და მშობლის როლი უდიდესია ბავშვის აღზრდასა და ჩამოყალიბებაში“.(ნოდარ ბასილაძე, პედაგოგიკის საკითხები, 1999)

თავი II. მშობლის როლი ეროვნულ სასწავლო გეგმაში

§1. ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის ხელშეწყობა

ყველა ბავშვი თავისი ხასიათიდან და ქცევებიდან გამომდინარე არის ინდივიდუალური, თითოეულს სჭირდება განსაკუთრებული სიფაქიზით და სიზუსტით შევურჩიოთ მათთვის საჭირო და ხელშემწყობი გარემო. მივცეთ საშუალება გახდნენ თვითრეალიზებულები, მაგრამ ამ ყველაფერს სჭირდება კონტროლი, როდესაც მშობელი ჩართულია შვილის განათლების პროცესში ბავშვს უკეთესი მიღწევები და შედეგები აქვს სწავლაში:

1.წარმატებით ასრულებს სკოლას.

2.მოტივაცია აქვს სწავლის გაგრძელების.

3.დადებითად არის განწყობილი სკოლისადმი.

4.კარგი ურთიერთიერთობა აქვს მასწავლებლებთან და ასევე ოჯახის წევრებთან.

აქედან გამომდინარე, თუ მშობელი არ არის ჩართული ბავშვის აღზრდა-განათლებაში, ბავშვების მოტივაციაც ნაკლებია სწავლისადმი, აკადემიური მოსწრება სხვა ბავშვებთან შედარებით დაბალია.

მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში განსაკუთრებით მაღალია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლესთან. ეს არის ყველა ის მოსწავლე, რომელსაც ახასიათებს: ფიზიკური დეფექტი, გონებრივი განვითარების დარღვევა, მხედველობის დარღვევა, სმენის დარღვევა, მეტყველების, ქცევისა და ემოციური განვითარების დარღვევა, რომლებსაც სჭირდება მკურნალობა, ჰოსპიტალიზაცია, რომლებსაც სწავლასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ფორმალურ განათლებას ხშირად კერძო სკოლა - ინტერნატებში იღებენ. მათი უმრავლესობა განათლების გარეშე რჩება. ძალიან იშვიათი იყო შემთხვევები, როდესაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აღსაზრდელები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლობდნენ, დღეს განათლების სამინისტრო ცდილობს, სკოლების ორგანიზება და სწავლების სტილი შეცვალოს ისე. რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს შეეძლოთ სკოლაში სიარული, სკოლამ აიღო ვალდებულება, შექმნას ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სპეციალური საგანმანათლებლო საჭროების მქონე ბავშვებისათვის, ასეთი გეგმები ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით იქმნება და მათში სასწავლო მიზნები განსაზღვრულია მოსწავლეების შესაძლებლობებიდან და საგანმანათლებლო საჭროებებიდან გამომდინარე. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში აუცილებლად მონაწილეობს მოსწავლის მშობელი, კლასის დამრიგებელი და სხვა სპეციალისტები.

საქართველოში ბევრ სკოლას აქვს მიზანი და სურვილი გაზარდოს მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში, თუმცა არ აქვთ კონკრეტული სტრატეგიები თუ როგორ და რა ნაბიჯებით შეუძლიან მიაღწიონ მიზანს. ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარე დამრიგებლისათვის სავალდებულო ხდება მშობელთან რეგულარული კომუნიკაცია, იქმნება პროგრამები სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის გაძლიერების მიზნით, რაც გულისხმობს მშობლისა და სკოლას შორის რეგულარულ, ორმხრივ, შედეგებზე ორიენტირებულ თანამშრომლობას. აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მშობლის ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში სრულიად განსხვავებულია ბავშის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. ზოგადად, მშობელი არ უნდა იყოს შვილის აკადემიური მოსწრების მაკონტროლებელი. ის უფრო მეტად უნდა იყოს ინტერესის მქონე. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მშობლის მიერ იდენფიცირებული დამოკიდებულება ძალიან ცუდად მოქმედებს შვილის მოსწრებაზე . სამწუხაროდ, მშობლებს ხშირად ჩართულობა მხოლოდ კონტროლი ჰგონიათ. კონტროლი კი მხოლოდ დაწყებით კლასებშია საჭირო, თუ კონტროლი მაღალ კლასებშივ გადადის, ეს სერიოზულ ბრაზს აჩენს და იწვევს ბავშვის აგრესიას. ამიტომ 12 – 13 წლის ასაკში მეტი ხვედრითი წილი და პასუხისმგებლობა მოსწავლეზე უნდა გადავიდეს ხოლო დამამთავრებლე კლასში მშობელი მხოლოდ

დაინტერესებას უნდა გამოხატავდეს. ეს არის მშობლის ჩართულობის ყველაზე მოსახერხებელი და ოპტიმალური ფორმა.

§2. სახლში სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება

სახლში სწავლება ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა მშობლებისათვის. მშობელი როგორც მასწავლებელი, თავის თავზე იღებს იმ დიდ პასუხისმგებლობას, რომელიც მასწავლებელს აკისრია სკოლაში და არა მარტო მასწავლებელს, არამედ მთელ სასკოლო სისტემას. მშობელს აკისრია არა მარტო გაკვეთილების დაგეგმვა არამედ მთელი სასწავლო კურსის წარმატებით დასრულება, მშობელი ვალდებულია ჩაიწეროს ასევე აკადემიური მოსწრების ჩანაწერები პროგრესზე და რეგრესზე დაკვირვება. სახლში სწავლებით შეიძლება ბავშვმა ვერ მიაღწიოს იმ შედეგს რაც სკოლაში მიიღწევა რადგან მოსწავლე ტრადიციული სწავლებისაკენ არის მიდრეკილი, ასეთი ბავშვებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია შეჯიბრებების მომენტები, რომელიც სკოლაში არსებოს და გამორიცხულია შინ სწავლებისას. ასეთი მოსწავლეები შესაძლებლობათა მაქსიმუმს მხოლოდ მაშინ ამჟღავნებენ, როცა ირგვლივ სხვა მოსწავლეებიც არის. ეს მათ სტიმულს აძლევს გახდნენ მაღალი აკადემიური მოსწრების.

მაგრამ დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე თვალსაჩინოა ის რომ მშობლები მაქსიმალურად ჩართული იყვნენ შინ სწავლების პროცესში. პანდემიით გამოწვეული გაურკვევლობის პერიოდში მშობლები და პედაგოგები დიდი მონდომებით ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ბავშვების განათელის პროცესს სახლის პიროობებში, უამრავი მოსწავლე წააწყდა სირთულეებს, რადგან უჭირთ შეინარჩუნონ მოტივაცია და ყურადღება შეუჩვეველ გარემოს. შეგვიძლია მოვიფიქროთ სახლში სწავლებისათვის ხელშემწყობი ფაქტორები რაც გახდის ბავშვს ხალისიანს და არ შეუქმნის დისკომფორტს.

1.სახლში მოვაწყოთ სასკოლო გარემო.

2.სამუშაოს შესრულების შემდეგ გამოვყოთ დრო.

3.წავახალისთ ბავში სწავლის პროცესში.

4.გავანაწილოთ დრო რადგან მომაბეზრებელი არ იყოს სწავლა.

5. გაკვეთილებს შორი განვსაზღვროთ დასვენების დრო.

შინ სწავლებას ასევე აქვს უარყოფითი და დადებით მხარეები. მაგრამ შინ სწავლებაში რა არის ისეთი, რაც სწავლების ამ ფორმის ძლიერ მხარედ ჩაითვალოს და რაც მოზარდებში იწვევს მოწონებას:

დროის ეკონომია -არ უწევს დროის ხარჯვა სკოლაში წასვლა - წამოსვლაზე,გაკვეთილის ხანგრძლივობა შემცირებულია.

მანამდე უცნობი შესაძლებლობების გაცნობა და გამოყენება - სასიამოვნოა კომპიუტერული ტექნლოგიების სიახლეების გაცნობა, რასაც შემდეგ იყენებს პრაქტიკაში.

დამოუკიდებლად სწავლა - დამოუკიდებელი უნარჩვევების გამომუშავების კარგ შესაძლებლობას აძლევს მოზარდს.

მრავალფეროვნება სწალის პროცესში - რეალურ ცხოვრებაში სასკოლო გარემო და სწავლა და ზოგიერთ შემთხვევაში მოსაბეზრებელიც.

ამასთანავე არსებობს უარყოფითი მახასიათებლები რასაც გვერდს ვერ აუვლით

ასაკობრივი ზღვარი - პატარა ასაკის ბავშვებთან ერთნაირი ეფექტურობა არ აქვს.

შეუძლებელია სრულყოფილად გავლა,სასწავლო პროგრამის - ხდება სასწავლო პროგრამის მოდიფიცირება.

კომპიუტერზე მიჯაჭულობა - უარყოფითად მოქმედებს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ შინ სწავლებას აქვს, როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები მაგრამ ბავშვების განვითარებისათვის და თვითრეალიზებისათვის საჭიროა კარგად ცოდნა კომპიუტერული ტექნოლოგიების.

ბავშვი, რომელიც არის სპეციალური საგანმანათლებლო სჭიროების მქონე მოსწავლე და ესაჭიროება შინ სწავლება აქედან გამომდინარე უხდება ხშირი ჰოსპიტალიზაცია ან კიდე ჯანმრთელობის გაუარესება ამ მიზეზების გამო ვერ დადის სკოლაში, სკოლა მიმართავს მულტიდსციპლინურ გუნდს, რომელიც აკეთებს დასკვნას ამ დასკვნის საფუძველზე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს განათლების მიღება უნდა მოხდეს შინ სწავლების მეთოდით, ამ შემთხვევაში ირიცხება მოსწავლე სკოლაში მაგრამ მიზეზებიდან გამომდინარე ვერ ესწრება გაკვეთილებს, სკოლა უდგენს სწავლების სპეციალურ გეგმას, რომლის

მიხედვითაც ხორციელდება მოსწავლის შინსწავლება. მაგალითად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს აქვს ეპილეფსია, რომელიც იწვევს გულყრას, გულყრა ეპილეფსიის დროს შეიძლება გამოიწვიოს გადაღლამ რაც საფრთხეს უქმნის და აუარესებს მოსწავლის ჯანმრთელობას. ამ შეემთხვევაში მოსწავლეს უფლება აქვს ისარგებლოს შინ სწავლებით,შინ სწავლების მეთოდით გათვალისწინებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა იყოს მიახლოებული ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.სკოლამ უნდა შექმნას განრიგი, რომლის მიხედვითა განხორციელდეს მოსწავლესთან ვიზიტი, აუცილებელია სწავლის პროცესში ჩართული იყოს მოსწავლის მშობელი, რადგან დაეხმაროს საშინაო სამუშაოების შესრულებაში, ასევე სკოლა ვალდებულია შინ სწავლების მეთოდზე გადაიყვანოს ის ბავშვები, რომლებიც საჭიროებენ მკურნალობას და ჰოსპიტალიზაციას ერთ თვეზე მეტი დროით და ცნობილი ხდება სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ასეთ შემთხვევაში არ გახდება მოსწავლის ჩამოშორება საგაკვეთილო პროცესძე.

მინიმალური დატვირთვა სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შემთხვევაში:

კლასი	1-4	5-6	7-9	10-12
მინიმალური საათები კვირის მანძილზე	4სთ	5სთ	7სთ	8სთ

§3. ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა

ჯანსაღ ცხოვრებაზე საუბრისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა. მოსწავლეეს უნდა ავუმაღლოთ ცოდნა ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ. გაიაზრონ თუ რა ეხმარებათ მათ, რომ იყვენენ ჯანმრთელები. გამოიმუშავონ სწორი კვების რეჟიმი, ისწავლონ დღის განმავლობაში დროის სწორი და ნაყოფიერი განაწილება, ჩაერთონ სხვადასხვა სპორტულ გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, აუცილებელია გაუზიარონ თავისი გამოცდილება სხვა ადამიანებს ჯანსაღი ცხოვრების წესის შესახებ და იზრუნონ დამკივიდრებაზე.

ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობაში დიდი წვლილი მიუძღით მშობლებს, მშობლებმა აუცილებლად უნდა აკონტროლონ შვილის ჯდომის წესის მანერა. არ იყვნენ წელში მოხრილები, სკოლის ჩანთის გადადება არ მოხდეს მხოლოდ ერთ მხარეზე, რადგნა ეს არის სქოლიოზის განვითარების ხელშემწყობი ფაქტორი, აუცილებელია ასევე ჯანსაღი საკვებით უზრუნველყოფა.

მხოლოდ ფიზიკურ დეფექტებზე არ უნდა გავამახვილოთ ყურადღება, ასევე უნდა ვიზრუნოთ ფსიქიკურ პრობლემებზეც, არ გადავტვირთოთ ზედმეტი კითხვით, წერით ეს უნდა მოხდეს დროის კონტროლით. ზედმეტი წერა და კითხვა იწვევს ზოგიერთ ბავშვში გაღიზიანებას რაც შემდე მოქმედებს ფსიქიკაზე ასევე ოჯახში უნდა სუფევდეს ჰარმონიული ურთიერთობა არ უნდა იყოს კონფლიქტური სიტუაცია ბავშვში ეს გამოიწვევს ნერვულ აშლილობას რასაც აქვს გვერდითი მოვლენები (ტირილი, მოუსვენრობა, შფოთი, უნდობლობა ოჯახის წევრებისადმი, და ა.შ.)

სასკოლო პროცესში უნდა მოხდებს ბავშვების ჰაერზე გაყვანა და ხემცენარეების დარგვა ასევე უნდა აუხსნათ, რომ მცენარეები გამოყოფენ ჟანგბადს რაც ცოცხალი ადამიანისათვის აუცილებელია , ბუნებაში არ უნდა მოხდეს დანაგვიანება და ნარჩენების გადაყრა , რადგან ეს აისახება ადამიანებიის ჯანმრთელობაზე და ბინძურდება ნიადაგი.

ჯანსაღი ცხოვრების წესის აუცილებელი ფაქტორები:

1. ჯანსაღი საკვები.
2. დღის განმავლობაში ვარჯიში.
3. ჯდომის წესის მანერა.
4. ჰიგიენური ნორმების დაცვა.

ბავშვებს უნდა ვსწავლოთ ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრება, რადგან ჯანსაღი ცხოვრების პრინციპის დაცვა ხელს უწყობს ბავშვებში ფიზიკური და გონებრივ განვითარებას, კვლევების თანახმად ფიზიკურ და გონებრივ განვითრებას,კვლევების თანახმად ცნობილია, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი არაჯანსაღ საკვებს იღებს, მიირთმევს ცხიმებითმდიდა საკვებს და იკვებება სწრაფი კვების პროდუქტებით, არ ღებულობს ხილს და ბოსტნეულს, ასევე რძის პროდუქტებს უმეტეს დროს ატარებს ტელევიზორთან, მობილურთან ან კიდე კომპიუტერთან, აქედან გამომდინაე ბავშვებში გავრცელებულია ჭარბწონიანობა და

სქოლიოზის განვითარება,რაც დაკავშირებულია რიგ პრობლემებთან, ბავშვის ჯანსაღ ცხოვებაზე გავლენას ახდენს: ოჯახი,სკოლა,თანატოლები, მოზრდილები და სხვა. ამიტომ ჩვენი საზოგადოების შეთანხმებული მუშაობაა საჭირო, რომ მოზარდები გახდნენ აქტიურები ჩაერთონ სპორტულ ღონისძიებებში და იკვებონ ჯანსაღი საკვებით.

2015 წლის ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ სპორტი უზრუნველყოფს ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრებას.საქართველოში სპორტით დაკავებულია მოსახლეობის მცირე ნაწილი, მეცნიერებმა დადასტურეს, რომ ფიზიკური აქტივობა დადებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე. საზოგადოება უდიდეს ყურადღებას აქცევს გოგოენებისა და ვაჟების ფიზიკურ აქტივობებში ჩართვას და თანაბარი შესაძლებლობების განვითარებას.

ფიზიკური აღზრდის მასწავლებლისათვის კარგად არის ცნობილი, რომ უნდა დაიცვან უსაფრთხოების ნორმები, მაგრამ აუცილებელია დამატებითი უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინება გოგონებში გარდატეხის პერიოდში გოგონები წონით და სიმაღლით არ ჩამოუვარდებიან ვაჟებს ამიტომ გოგონებმა სხვა აქტივობები უნდა შეასრულონ, რადგან მიდრეკილები არიან ტრამვებისადმი მეცნიერულად დადასტურებულია, რომ სპორცმენ ქალთა შორის დაზიანებების უფრო მეტი შემთხვევა ვიდრე მამაკაცებში, რადგან გოგონას და ვაჟის სხეულის პროპორციებს შორის არსებული სხვაობა დაკავშრებულია ჰორმონალურ ცვლილებებთან, დაზიანებების შემცირებისათვის საჭიროა ტონუსის ასამაღლებელი ვარჯიშებით , კუნთების გაძლიერება. 2012 წლის სამედიცინო კვლევებიდან დადასტურდა, რომ მსგავსი მიდგომით შემცირდა ტრამვები.

ენერგიისათვის სპორტში დიდი მნიშვნელობა აქვს კვებას ვინც სპორტით არის დაკავებული ვარჯიშის გარდა საჭიროა ენერგეტიკული მარაგის შევსება დღის რაციონი უნდა იყოს მრავალფეროვანი ზომიერად უნდა შეიცავდეს: ცილებს,ცხიმებს, ნახშირწყლებს, ვიტამინებს და მინერალებს.

უსაფრთხოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა, მოსწავლისათვის ასაკის შესაბამისი ვარჯიშების შეთავაზება ბავშვებს უნდა მივცემთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ ისეთ ფიზიკურ და სპორტულ აქტივობებში, რომლებიც მათ მოსწონთ და სიამოვნებას ანიჭებს მიღწეული წარმატებები.

• პრაქტიკული რჩევები მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის

1. წახალისება და შექება.
2. შევაქოთ დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეებიც.
3. მცირე წარმატების დროს გამოვხატოთ დიდი აღფრთოვანება.
4. დაგეგმოთ ისეთი ვარჯიშები რომლებზეც ყველას ექნება შესაძლებლობა, მცირე წარმატებას მაინც მიაღწიოს.
5. არა დასჯის მეთოდებს.
6. მივაწოდოთ ინფორმაცია ფიზიკური აქტივობის და ჯანმრთელობის შესახებ.
7. გამოვიყენოთ რიტმული ვარჯიშები.
8. მოვუყვეთ საინტერესო ინფორმაციები გამოჩენილ სპორტსმენებზე.

§4. შვილთან კომუნიკაციის პროცესში ასაკობრივ - ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება

ყველა ოჯახი ინდივიდუალურია, ყველა ოჯახს თავისი წესები აქვს და აღზრდის მეთოდებიც განსხვავებული, პირველი, რაც ბავშვის განვითარებაზე გავლენას ახდენს ეს არის სოციალური გარემო, სადაც ბავშვი იზრდება. მოზარდისათვის რთულია ისეთ ოჯახში გაზრდა, სადაც გადაწყვეტილებას მხოლოდ ოჯახის უფროსი იღებს და მოზარდის აზრი ნაკლებად საინტერესოა, ეს ვითარება მოზარდებზე უარყოფითად აისახება, გონებაში აქვს ის, რომ მისი აზრი არავისთვის არ არის საინტერესო, ამით მოზარდის და მშობლის კომუნიკაციური ურთიერთობა ნაკლებად საინტერესო ხდება, როგორც მშობელი და შვილი შემდეგ აწყდება პრობლემას, შვილს აღარ სურს მოუყვეს მშობელს ის მნიშვნელოვანი ამბავი და გათავისუფლდეს ნეგატიური ემოციებისგან. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არიან მშობლები, რომლებიც ფეხს უწყობენ ისეთ ცხოვრებას, როგორიც მოსწონთ შვილებს, მაგრამ მსგავსი სიტუაცია იშვიათია, მათთან კომუნიკაციის საშუალება უფრო მეტია, იციან შვილის პრობლემები, ურთიერთობიდან გამომდინარე არიან მეგობრულები, მაგრამ „თანამედროვეობას“ აქვს ზღვარი, რომლის გადაცდომაც მიუღებელია, მშობელმა შვილთან კომუნიკაციის და ურთიერთობის დროს უნდა გამოიყენოს

ისეთი მეთოდები, რაც დაკავშირებული იქნება დასჯასთან, მაგრამ დასჯა არ უნდა იყოს საზიანო ფიზიკურ და ფსიქიკურ ნორმებთან.

მშობელსა და ბავშვს შორის კომუნიკაციის შემცირება ხდება ბავშვის გარდამავალ პერიოდში, რადგან ამ დროს მოზარდები ხდებიან ჩაკეტილები, განერვიულებულები, ეჩვენებათ, რომ მშობელს აღარ უყვარს, ყველაფერში ხედავენ უარყოფითს, აღარ სურთ კომუნიკაცია, ურჩევნიათ იყვნენ მარტო. ამ ყველაფრის თავიდან აცილება შესაძლებელია მშვიდი კომუნიკაციით და რჩევების მიცემით, რადგან ყველა მშობელი განიცდის ამ პერიოდს, ექმნებათ შვილებს პრობლემა სწავლაში, ინტერესი უქვეითდებათ, ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ აღარ სურთ სწავლა მშობლისათვის კი ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ სწავლობს შვილი, რადგან სწავლაზეა დამოკიდებული შვილის მომავალი და წარმატებული კარიერა.

მშობლებისათვის შვილის ყველაზე რთულ პერიოდს 12-15 წლის ასაკი წარმოადგენს, 16 – 18 წლისათვის უკვე ბავშვი ახერხებს საზოგადოებაში ადაპტაციას და საკუთარის თავის რეალიზებას, მაგრამ სანამ ამ ეტაპზე გადავიდოდეს ბავშვი, საჭიროა სწორი მიმართულებით წასვლა, საუბარი იმაზე, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და ღირებულია მშობლისთვის შვილი, გარდამავალ პერიოდში შვილის ავტორიტეტს წარმოადგენს მშობელი, მშობელი უნდა ესაუბროს მომავალზე, თვითრეალიზებაზე და ა.შ. მაგრამ ეს საუბარი ხშირ შემთხვევაში არის კონფლიქტური ხასიათის.

რჩევები მოზარდის მშობლებს თავიდან აიცილონ ბავშვებთან დაძაბული ურთიერთიბა:

1.არ განასხვავოთ შვილები.

2.ოჯახური საკითხები განიხილეთ მოზარდთან ერთად, რადგან იგრძნოს, მისი აზრიც მნიშვნელოვანია.

3.მოზარდი ყველა თქვენს რჩევას არ გაითვალისწინებს. მოლოდინი იმისაა, რომ კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნება, კამათის დროს მოზარდის დაუფიქრებელი წამოძახილი აფექტის ნიადაგზე

5.გვერდზე გადავდოთ აგრესია და უხეშობა.

6.იდეალური მშობლები არ არსებობენ.(შეცდომა გამოსწორებადია)

7.გასათვალისწინებელია ის, რომ მოზარდი ძიების პროცესშია მხარი დაუჭიროთ და წავახალისოთ.

მშობლები თუ გაითვალისწინებენ ზემოთ ჩამოთვლილ რჩევებს გაუადვილდებათ შვილთან კომუნიკაცია, მოიპოვებენ შვილების ნდობას და რაც მთავარია იქნებიან საუკეთესო მეგობრები და საუკეთესო მშობლები. პარალელურად უნდა ჰქონდეს მშობელს კომუნიკაცია მოზარდის მასწავლებელთან, მაგრამ განსხვავებული ფორმით ვიდრე დაწყებით საფეხურზე, სატელეფონო ან ვირტუალური საუბრით უნდა შემოიფარგლოს, ეს საშუალებას მისცემს პედაგოგს და მშობელს კავშირი ჰქონდეს და განიხილონ, სხვადასხვა პრობლემები და პრობლემური თემები. გაცვალონ ინფორმაცია და სხვა. განსხვავებული ფორმით კომინიკაცია იმიტომ არის აუცილებელი, რომ გარდამავალ პერიოდში მოზარდს არ სიამოვნებს მშობლის ვიზიტი სკოლაში, ჰგონია მშობლის და პედაგოგის საუბრის შემდეგ მშობელი დაუწყებს დატუქსვას და მხოლოდ ნეგატიური ხასიათის ვიზიტებით შემოიფარგლებიან.

ბავშვებმა და მშობლებმა ერთმანეთის შესახებ უნდა იცოდნენ უფრო მეტი ეს შესაძლებელია კომუნიკაციით და აზრების გაცვლით, მშობელმაც უნდა გაითვალისწინოს შვილის რჩევა, რადგან ბავშვმა იგრძნოს მისი საჭიროება მშობლის ცხოვრებაში

თავი III. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა

§1. საერთაშორისო გამოცდილება

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მოსწავლეების მშობლები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და უფრო ხარისხიანად შესრულებული საშინაო დავალებები, ასევე უფრო კეთილგანწყობილები არიან სკოლის მიმართ და აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა. სურთ უფრო მეტი გააკეთონ და შექმნან ღირებული.

ყველა ქვეყანაში სკოლასა და ოჯახს შორის თანამშრომლობა საუკეთესო რესურსია მოსწავლის სასიკეთოდ აღზრდისათვის. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც კვლევები ადასტურებს,

მოსწავლეთა და სკოლის წარმატება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობაზე. კვლევებმა, რომლებიც აშშსა და დიდ ბრიტანეთში ჩატარდა, აჩვენა, რომ მშობელთა ჩართულობა დიდ გავლენას ახდენს მოსწავლის განვითარების პროცესზე, ოჯახის სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად.

გთავაზობთ **აშშ - ს გამოცდილებას** მასწავლებლის, მშობლისა და მოსწავლის კომუნიკაციისა სოციალური მედიის გამოყენებით,

წინათ მასწავლებელს, მშობელს და მოსწავლეს შორის სკოლისგარეშე ურთიერთობა მარკეტებსა და თეატრებში თუ იყო შესაძლებელი, ახლა კი პოპულარული სოციალური მედიის გამოყენებით (Facebook,) მათ შეუძლიათ, სკოლის შემდეგაც ჰქონდეთ კომუნიკაცია. მოსწავლეები მშობლები „უმეგობრდებიან" თავიანთ მასწავლებლებს და ურთიერთობაც მარტივდება. ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს დისკუსია, რამდენად მიზანშეწონილია ამ ფორმით კომუნიკაცია მასწავლებელს, მშობელსა და მოსწავლეს შორის. უკანასკნელი წლების განმავლობაში რამდენიმე შტატმა შემოიღო მასწავლებელის, მშობლის და მოსწავლეს შორის სოციალური მედიით კომუნიკაციის სარეგულაციო კანონმდებლობა. მისი მიზანია მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არასათანადო ურთიერთობის პრევენცია.

ამერიკის ზოგიერთმა სკოლამ უარყო ინტერნეტით კომუნიკაცია მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლის შორის. მასწავლებლებმა გააკრიტიკეს კანონი, ვინაიდან ყველა მათგანს არ აქვს საეჭვო განზრახვა მოსწავლის და მშობლის მიმართ. გარდა ამისა, მრავალი მასწავლებელი მიჩნევს, რომ სოციალური მედია ხელს უწყობს მოსწავლეებისთვის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას, ამრიგად, საგანმანათლებლო პროცესში იგი დამხმარე მექანიზმია. კვლევებით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას პოზიტიური ეფექტი აქვს. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა კომუნიკაციისა და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარების განვითარებას.

იაპონური გამოცდილება. იაპონელი ბავშვები განსაკუთრებული ზრდილობით გამოირჩევიან, არიან მეგობრულები და სხვა ბავშვებისგან განსხვავებით, ემოციებს მძაფრად არ გამოხატავენ. იაპონიაში იშვიათად ნახავთ ბავშვს, რომელიც მაღაზიაში ტირის და მშობელს რაიმეს ყიდვას სთხოვს. ასე იმიტომ ხდება, რომ იაპონელ

მშობლებს აღზრდის თავისებური მეთოდები აქვთ. გთავაზობთ რამოდენიმე წესს, რომლებიც მშვიდი, თავაზიანი შვილის აღზრდაში დაგეხმარებათ. მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ქართველ დედებს შვილებთან ახლო და თბილი ურთიერთობით ვერ გავაკვირვებთ, მაგრამ იაპონიაში დედა - შვილობის ურთიერთიბა გამორჩეულად ძლიერია. მათ ერთად სძინავთ. მაღაზიაშიც არ გადის დედა შვილის გარეშე, ყოველთვის ხელში ჰყავს ან მის სიახლოვეს. იაპონიაში ყველაა ადამიანი ერთმანეთის თანასწორადა მიიჩნევა და სწორედ ამას ასწავლიან ბავშვებს, ამ იდეოლოგიით ზრდიან. სპეციალისტებმა სკოლებში ჩაატარეს ექსპერიმენტი, რომელშიც მონაწილეობდნენ იაპონელი და ევროპელი მშობლები და მათი შვილები. ექსპერიმენტის მონაწილე ბავშვებს პირამიდის კონსტრუქციის აგება ევალებოდათ. იაპონელმა მშობლებმა ჯერ თავად ააგეს პირამიდის კონსტრუქცია და ამით პრაქტიკულად აჩვენს შვილებს, თუ როგორ უნდა შეასრულებინათ ეს დავალება. ევროპელმა მშობლებმა კი მხოლოდ განუმარტეს შვილებს, როგორ უნდა ააგონ პირამიდა და შემდეგ სთხოვეს, რომ თავად ეცადათ გაკეთება. აქედან გამომდინარე, იაპონელი მშობლები შვილებს საკუთარი მაგალითით ასწავლიან. იაპონელი მსობლები არ შემოიფარგლებიან მხოლოდ თეორიული განმარტებებით. შვილებს პრაქტიკული მაგალითებით ასწავლიან ამა თუ იმ საკითხს.

საერთაშორისო კვლევების თანახმად, ფინელი მოსწავლეები მსოფლიოში ცოდნის ყველაზე მაღალ დონეს აჩვენებენ. გარდა ამისა. ისინი არიან პლანეტის ბავშვთა შორის ყველაზე მკითხველი ბავშვები, მათ მსოფლიოში მეორე ადგილი უჭირავთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და მეხუთე მათემატიკაში. მასწავლებლები არ ავლენენ განსაკუთრებულ სიყვარულს ან უარყოფით დამოკიდებულებას რომელიმე მოსწავლისადმი. მასწავლებელსა და მოსწავლის მშობელს შორის კონტაქტი ხდება მხოლოდ გამოუვალი სიტუაციის შემთხვევაში და ეს ინფორმაცია დახურულია. სწავლის პროცესში ფინეთში მოსწავლის განათლებაზე პასუხისმგებელია მასწავლებელი, მშობელს იშვიათ შემთხვევაში უწევს ჩაერიოს ბავშვის განათლება - აღზრდაში. აქედან გამომდინარე, ბავშვები არიან დამოუკიდებლები და სოციუმში ადვილად იმკვიდრებენ თავს

§2. დამრიგებლებისათვის რეგულარული კომუნიკაცია მშობლებთან

მასწავლებელი სასწავლო მსველობის მნიშვნელოვანი ფიგურაა, მან უნდა დაამყაროს კეთილგანწყობილი დამოკიდებულება სკოლასა და მშობელს შორის, მასწავლებელსა და მშობელს შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობა რომ დამყარდეს პირველი გადამწყვეტი ნაბიჯი მასწავლებელმა უნდა გადადგას, მასწავლებელი შუალედური რგოლია, რომელიც სკოლასა და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს, მას შეუძლია კომუნიკაციის სხვდასხვა ხერხის გამოყენებით, მშობელი ჩართოს სასწვლო პროცესში, მშობელსა და მასწავლებელს ერთი მიზანი აქვთ, ბავშვის წარმატება და მისი ნიჭის მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობა. მშობლის აქტიური ჩართვა სასკოლო პროცესში ამცირებს პედაგოგის შრომას, დამრიგებელმა აუცილებლად უნდა აუხსნას, რას გეგმავს წლის ან სემესტრის განმავლობაში, რა ცოდნას მიიღებს მოსწავლე, რა შედეგს უნდა მიაღწიოს სასწავლო წლის ბოლოს. დამრიგებლის მხრიდან მშობელთან მუშაობა დამატებით დროს, ენერგიასა და მოთმინებას მოითხოვს, მაგრამ ამ შრომის გაწევა იმისთვის ღირს, რომ ერთგვარი მოკავშირე იყო, რაც ბავშვს პრობლემის დაძლევისას წარმოქმნილი სირთულეების გადალახვაში დაეხმარება.

მშობლებთან კომუნიკაციისათვის სხვადასხვა ხერხი გამოიყენება: წერილობითი ფორმით დაწყებული და ელექტრონული ფოსტით დასრულებული. გააჩნია ვისთვის რომელი იქნება მოსახერხებელი. მშობელი სისტემატურად უნდა იყოს ინფორმირებული არა მხოლოდ მოსწავლის უარყოფით ქცევის შესახებ, არამედ მისი მიღწევების შესახებაც, არ აქვს მნიშვნელობა დამრიგებელი ამ ინფორმაციას წერილობითი ფორმით მიაწვდის მშობელს, ტელეფონით აცნობებს თუ მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს გაუგზავნის, ეს მისი გადასაწყვეტია, ასევე დიდი მნიშნელობა ენიჭება იმასაც, თუ როგორი ფორმით იქნება შედგენილი შეტყობინება, რამდენად საინტერესო ინფორმაციის შემცველი აღმოჩნდება ის. აუცილებელია წერილი კარგი სიტყვებით იწყებოდეს, რადგან ყველა ადამიანს და მით უმეტეს, ყველა ბავშვს დადებითი მხარე აქვს რომელსაც დამრიგებელი სხვებზე უკეთ ამჩნევს. მშვიდი ტონით დაწყებული წერილი იმის გარანტიას იძლევა, რომ მშობელი მას ბოლომდე წაიკითხავს, გიპასუხებთ და თქვენ მიმართ კეთილად განეწყობა. სასურველია, მიღებულ ინფორმაციაზე კომენტარიც გაუჩნდეს მშობელს, ეს

კომუნიკაციის დასაწყისი იქნება, რომლის წარმატებაც დამრიგებლის პროფესინალიზმზე დადებითად აისახება.

სამი რჩევა, რომელიც დამრიგებელს დაეხმარება მშობლისათვის განკუთვნილი წერილის პროფესიონალურად ფორმირებაში:

1. წერილის დასაწყისში მიმართეთ ,,ქალატონო'' ,,ბატონო''
2. დაწერეთ მშობლისათვის გასაგებ ენაზე.
3. წერილის გვერდების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს.

მიმოწერის გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელთან პირისპირ კომუნიკაციასაც, პირისპირ კომუნიკაცია კარგია იმისთვის, რომ დროის უმიზნოდ ხარჯვა და ზედმეტი სტრესი თავიდან აიცილონ. დამრიგებელმა წინასწარ უნდა აცნობოს, როდის არის შესაძლებელი შეხვედრა და საუბარი, ეს საშუალებას აძლევს, როგორც მშობელს, ასევე დამრიგებელს მომზადებული შეხვდნენ და განკარგონ დრო. აუცილებელი და გასათვალისწინებელია, რომ საუბარი მოსწავლის დადებითი მხარეების წარმოჩენით დაიწყოს, მშობელთან ურთიერთობის დროს საჭიროა გამოიყენოს დამრიგებელმა ,,თანაწორობის პრინციპი'' არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რა განათლების, სოციალური ფენის, ეროვნების ადამიანია მშობელი, ამით მშობლის პატიისცემას და ნდობას დაიმსახურებს დამრიგებელი, აუცილებელია მშობელს შეეძლოს საკუთარი პოზიციის გამოხატვა, ამით მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებს დამრიგებელი, რაც აუცილებლად დაეხმარება მასთან ინდივიდუალური მუშაობის დროს. ხშირად მშობელი მოულოდნელად გაფრთხილების გარეშე მიდის სკოლაში და შვილის შესახებ ინფორმაციას ითხოვს, ასეთი დაუგეგმავი ვიზიტი დამრიგებლისათვის ძალიან მოუხერხებელია, მსგავსი მოულოდნელი ვიზიტი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა იყოს დასაშვები. მშობელთან კომუნიკაციის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმა მშობელთა კრება გახლავთ, სრულყოფილი კომუნიკაციისათვის აუცილებელია, რომ თითოეული მშობლის სახელი იცოდეს დამრიგებელმა მშობელთა კრებაზე დამრიგებელი უნდა მოერიდოს რომელიმე მოსწავლის გადამეტებულ ქებას ან პირიქით, საყვედურების თქმას ვინმეს მიმართ. დამრიგებელმა მშობელს უნდა მისცეს იმის საშუალება, რომ მასში მიუკერძოებელი თავისუფალი პედაგოგი დაინახონ, რომელსაც თითოეული მოსწავლე თანაბრად უყვარს. პედაგოგი ამით მშობლების პატივისცემას დაიმსახურებს.

ექვსი რჩევა მშობელთა კრების წარმატებით განსახორციელებლად:

1. იყავით ნეიტრალური.
2. მიეცით მშობელს საშუალება საუბარში ჩაგებათ.
3. გავითვალისწინოთ დრო.
4. დამრიგებელმა არ უნდა გადაუხვიოს თემას.
5. აგრძნობინეთ მშობელს, რომ მათი აზრი ტქვენთვის მნიშვნელოვანია.
6. შეაჯამეთ მშობელთა კრების შედეგები და დაასრულეთ დადებითად.

რამოდენიმე რჩევას აძლევს დამრიგებელს თუ როგორ შეინარჩუნონ მშობლებთან პოზიტიური ურთიერთობა.

1.თავიდან აირიდეთ დაპირისპირება.

სატელეფონო საუბრისას გააკეთეთ ჩანიშვნები, რადგან შემდგომში იოლად მოხდეს დეტალების გახსენება, თუ საუბრისას მშობელი გაღიზიანებულია საუბარი უნდა დასრულდეს შემდეგი წინადადებით ,,მე მესმის, რომ გაღიზიანებული ხართ, მაგრამ ამის ტელეფონზე განხილვა არ ღირს. სჯობს თუ შევხვდებით და პირისპირ დავილაპარაკებთ, სკოლის ადმინისტრატორთან ერთად.''

2. წერეთ მოკლე და დროული იმეილები.

მშობლისგან მიღებულ ელ-ფოსტას იმავე დღესვე უპასუხეთ. დაგვიანების შემთხვევაში სკოლას და სკოლის პერსონალს ელახება რეპუტაცია.

3.დადეთ დავალებები ონლაინ.

ბავშვებისა და მშობლებისათვის ონლაინ დავალებების განთავსება მოსახერხებელია, ასევე შესაძლებელია წინასწარ აიტვირთოს ოთხი კვირის მასალა. მასწავლებლის რეპუტაციაზე ისე ცუდად არაფერი მოქმედებს როგორც მისი მიჩნევა მოუმზადებლად და არაორგანიზებულად, მშობელმა კარგად უნდა იცოდეს შვილების სასწავლო პროგრამა და მოსწავლეებსაც უნდა ჰქოდეთ წარმოდგენა, თუ რას ისწავლიან.

4.ჩართეთ მშობლები მათი შვილების განათლების პროცესში

კარგი მასწავლებელი ყოველთვის მოხარულია მშობლის მხარდაჭერითა და დაინტერესებით, ხშირად მშობლებისაგან მოდის ინიციატივა თუ რითი შეუძლიათ დაეხმარონ ბავშვებს, ამ დროს მასწავლებელმა თვითონ უნდა სესთავაზოს ის მეთოდები, რომელთა გამოყენებითაც ისინი თავად ჩაერთვებიან ბავშვის

განათლების პროცესში.

5. დაგეგმეთ წინა სასკოლო საღამო.

მშობლის ნდობის მოსაპოვებლად საუკეთესო საშუალებაა სასწავლო წლის დაწყების წინა დღეს, მათთან შეხვედრის ორგანიზება რომელიც ხშირ შემთხვევაში პოზიტიურ ვითარებაში მიმდინარეობს და სახალისოა, ამ მცირე დროის განმავლობაში მასწავლებელმა უნდა მოუსმინოს მშობელს და გაიგოს მათი მოლოდინის შესახებ, ეს ყველაფერი კი მასწავლებელს დაეხმარება მშობელთან ერთად შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა რომლითაც ამაღლდება ბავშვის პოტენციალი.

6.დაურეკეთ მათ სახლში და შეატყობინეთ კარგი ამბავი

მშობლებს კარგ ამბავზე იშვიათ შემთხვევაში ურეკავენ დამრიგებლები, ადვილი შესამჩნევი ხდება მშობლების განერვიულებული ტონი რადგან ჰგონიათ რომ ბავშვმა რამე დააშავა. კარგი ამბის მიწოდება ძალიან აბედნიერებთ, მსგავსი ზარებით მშობლები ხვდებიან იმას რომ შვილების მიღწევები არ იკარგება და მასწავლებელი ბავშვის წარმატებით დაინტერესებულია.

7. უნდა გამოიყურებოდეთ პროფესიონალურად.

მოუწესრიგებელი მასწავლებელი მშობლის თვალში არაპროფესიონალია, მასწავლებელი ყოველთვის მოწესრიგებულად უნდა გამოიყურებოდეს, რადგან ნებისმიერ დროს შეიძლება მოუწიოს.მოსწავლის მშობელთან შეხვედრა, განსაკუთრებით ახალგაზრდა მასწავლებლებისათვის არის რეკომენდირებული პროფესიონალურად ჩაცმა.

8. მიიღეთ მონაწილეობა კლასგარეშე აქტივობებში.

მაგალითად შეიძლება მასწავლებელი რომელიმე სპორტული თამაშის მწვრთნელი იყოს ან სხვა. არასასკოლო გარემოში თინეიჯერებთან საუბრის სხვა ეტაპზე გადახვალთ და მათთან ურთიერთობა გაგიადვილდებათ,როგორც შენობის მიღმა ასევე კლასშიც

§3. მშობელთა წარმატებული ჩართულობის ბარიერები

მშობელთა ჩართულობა არა მხოლოდ მოსწავლეთა ყოფაქცევას და დასწრებას აუმჯობესებს, არამედ დადებითად მოქმედებს მოსწავლეთა მიღწევებზე. მაგრამ ზოგიერთი სკოლის დირექტორი, ჯერ კიდევ არ აღიარებს, მშობელთა ჩართულობით მიღებულ დადებით შედეგებს. კვლევების მიხედვით, მშობლის მხროდან ხელშემშლელ ფაქტორად შეიძლება განვიხილოთ ეკონომიკური მდგომარეობა, დროის უქონლობა, გადატვირთული სამუშოა გრაფიკი, სკოლის მიმართ უნდობლობა, განათლების დაბალი დონე, ქორწინების მდგომარეობა, ბავშვების რაოდენობა. ასევე ის ფაქტორი, როდესაც მშობელი ვერ იაზრებს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ბავშვის ცხოვრებაში მშობლის როლი. მაგალითად, სტატისტიკური მონაცემებით მშობლები, რომლებსაც განათლების მაღალი დონე აქვთ, უფრო ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, ვიდრე ის მშობლები, რომლებიც განათლების დაბალი დონე აქვთ. ასევე მრავალშვილიანი მშობლები ნაკლებად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

აგრეთვე, ერთ - ერთი მიზეზი, თუ რატომ იკავებენ მშობლები თავს სასკოლო ცხოვრებაში ჩართვისგან, არის სკოლასთან დაკავშირებული გარკვეული დისკომფორტი, რადგან მათ არ იციან, როგორ ჩაერთონ სასკოლო ცხოვრებაში.

მაგალითად, გერმანელ მშობლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ ბავშვის სწორად აღზრდისათვის და სწავლაში წარმატების მიღწევაში აუცილებელია, ორივე მშობლის მონაწილეობა.

ძირითადად საგანმანათლებლო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებენ ემიგრანტთა ოჯახის შვილები, გამოირჩევიან დაბალი აკადემიური მოსწრებით, მათი მშობლებისათვის პრიორიტეტული შვილების განათლება არ არის და შესაბამისად, არ არიან ჩართულები სასკოლო ცხოვებაში.

გერმანელი მშობლები აღნიშნავენ, რომ სკოლის წარმატებით დასრულებაზეა დამოკიდებული მათი შვილების მომავალი. სკოლა მთავარი გზავნილია განათლების მაღალი დონის მიღწევისათვის

დღევანდელი გადასახედიდან, მშობელთა ჩართულობა მხოლოდ მშობელთა კრებით შემოიფარგლება, რომელიც ხშირად არ იმართება ან მშობლის გადატვირთული გრაფიკი ხდება არდასწრების მიზეზი. მხოლოდ მშობელთა კრება ვერ უზრუნველყოფს ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესებსა და სიახლეებს.

ხშირ შემთხვევაში სკოლებს არ აქვს მშობელთა ჩართულობის მოდელი და აქტივობები მშობელთა ჩართულობის გაზრდის კუთხით, მაგრამ ზოგიერთ სკოლას აქვს მსგავსი მიზნები, მაგრამ არ გააჩნია კონკრეტული სტრატეგია, თუ როგორ და რა ნაბიჯებით მიიღწევა ეს მიზანი. როგორც ჩანს, მშობელთა ჩართულობის კუთხით ბარიერები ორმხრივია, ზოგ შემთხვევაში ბარიერის გამომწვევი მიზეზი სკოლა, ზოგიერთ შემთხვევაში კი მშობლები. ნაცვლად პრობლემის აღიარებისა, ორივე მხარე ერთმანეთის გადაბრალების პოზიციაშია.

ტერმინი „მშობელთა ჩართულობა“ ნიშნავს ერთობლივ და უწყვეტ პასუხისმგებლობას მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებაზე, როგორც შინ, ასევე სკოლაში. ის აერთიანებს მშობელს და მასწავლებელს, რადგან ხელი შეუწყონ მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

რა სარგებელი მოაქვს მოსწავლისათვის მშობელის ჩართულობას სკოლაში? ნათელს ხდის იმას, რომ მოსწავლეს უკეთესი მიღწევები აქვს გამოირჩევიან უკეთესი ქცევებით, მათ წინააღმდეგ გამოყენებული დისციპლინური სანქციები შედარებით დაბალია, განსაკუთრებული კულტურული გარემოდან გამოსული მოსწავლეები უფრო წარმეტებით სწავლობენ, როდესაც მშობლები და მასწავლებლები ერთობლივად ცდილობენ ოჯახსა და სკოლაში არსებული კულტურული განსხვავებულობების ურთიერთშეთანხმებას.

ბავშვის განათლების პროცესში მონაწილეობის შედეგად მშობლის სარგებელი:

1. უფრო გამგები ხდება საკუთარი შვილის მიმართ,
2. უფრო დიდი ყურადღებას უთმობს ბავშის განვითარებას,
3. ხდება უფრო მზრუნელი,
4. არის ნაკლებად მკაცრი,
5. სიამოვნებით ერთვება ბავშვის განათლების და აღზრდის პროცესში,
6. მეტ ყურადღებას აქცევს საკუთარ ცოდნას, რადგან შვილს უფრო მეტი ცოდნა გადასცეს,
7. უფრო წარმატებით იყენებს სხვადასხვა შესაძლებლობებს საკუთარი ოჯახისა და შვილის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მშობელმა საშუალება უნდა მისცეს შვილს, თამამად გამოთქვას საკუთარი შეხედულებები და პრობლემები ამით მშობელი სრულყოფილ ინფორმაციას გაიგებს შვილის შესახებ.

2012 წლის კვლევის შედეგად საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით შემუშავდა მშობელთა ჩართულობის მოდელი. ქართულ რეალობაზე მორგებული მოდელი ითვალისწინებს შესაბამისი მასალების ინტეგრირებას დირექტორებისა და მასწავლებლეთა ტრენინგ - პროგრამებში და მშობლებისათვის სავარჯიშების, აქტივობების ბარათების და რეკომენდაციების მომზადებას, რომლებიც დაეხმარება მშობლებს და მათ შვილებს, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, დამეგობრდნენ, დაეხმარონ ერთმანეთს სოციალური გამოცდილების და ცოდნის შეძენაში.

ზოგიერი სკოლა ცდილობს, მშობელთა ჩართულობა მშობლის თვალით განიხილოს. კლასის დამრიგებლები აწყობენ მშობელთა კრებებს და სემინარებს სკოლაში ან კიდე ბუნებაში სადაც თავისუფლად იგრძნობენ თავს. სკოლის გარეთ კრებების მოწყობა ხელს უწყობს მშობლებსა და სკოლას შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის ჩამოყალიბებას. კლასის ხელმძღვანელმა მშობელი უნდა წაახალისოს, მიაწოდოს უნდა ინფორმაცია, თუ რა ხდება ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში, ილაპარაკონ უნდა იმ მიმდინარე პროცესებზე, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ბავშვის მიღწევებზე. სკოლამ ზუსტი ინფორმაცია უნდა მიაწოდოს მშობელს მოსალოდნელი შედეგების შესახებ, სკოლის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების, არსებული დისციპლინური ნორმების და სასკოლო მიზნების შესახებ. დირექტორმა და მასწავლებელმა მშობელთან პოზიტიური კომუნიკაციის რეგულარული გრაფიკი უნდა შეადგინოს. სკოლამ უნდა უზრუნველყოს, რომ მშობელთან პირველი კონტაქტი პოზიტური იყოს. ამ დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ ენობრივი ბარიერი და კულტურული განსხვავებულობა. გამოყენებული სტრატეგიები აუცილებლად მორგებული უნდა იყოს სასკოლო საზოგადოებაზე თუ მოსწავლის მშობელს არ ექნება ხარისხიანი ინტერნეტი, თუ ვერ მიიღებენ ელფოსტით გზავნილებს, აზერბაიჯანულ ან რუსულ ენაზე მოლაპარაკე მშობლისათვის ქართული სატელეფონო კომუნიკაციის შედგენა რთულია, რადგან გაუგებარი იქნება. სკოლებმა კომუნიკაციის ისეთი სტრატეგია უნდა გამოიყენონ, რომლებშიც მნიშვნელოვანი ასპექტი მშობლისათვის ხელმისაწვდომი გზით და გასაგებად იქნება გადაცემული, შვილის შესახებ მიწოდებული ინფორმაცია. ეს უბიძგებს აქტიური ჩართულობისაკენ მშობლებს.

სასწავლო პროცესში მონაწილეობა სახალისო და აქტიური, რომ იყოს სკოლის გარეთ ჩამოიკიდოს უნდა დროშა ან ბანერი, სადაც მოსწავლეს, მასწავლებელს და მშობელს შეეძლება შექმნან თავისი ლოგო, რომელი იქნება მაჩვენებელი, რომ მათი სკოლა არის აქტიური ოჯახური ჩართულობის კუთხით. სასკოლო პროცესში მონაწილეობისათვის მშობელს უნდა შეხვდეს კლასის ხელმძღვანელი გულთბილად, ხელი ამით ეწყობა თბილი და კონსტრუქციული გარემოს შექმნას, მშობელთან საუბრისას სკოლის წარმომადგენლები უნდა იყვნენ გახსნილი და დადებითად განწყობილნი, მშობელს ეს ეხმარება იმის გაცნობიერებაში, რომ ისინი სასკოლო საზოგადოების დაფასებული წევრები არიან. ამის შემდეგ მშობელს ექმნება შთაბეჭდილება სკოლაზე, ეს შთაბეჭდილება თუ წარიმათება სწორი გზით მშობლები იქნებიან სკოლისადმი კეთილგანწყობილნი და ნდობით აღსავსე დამიკიდებულება სამომავლოდაც გაჰყვებათ.

სკოლაში აუცილებელია გამოკრული იყოს შენობის გეგმა შენობაში ორიენტაციის გასაიოლებლად, ნაჩვენები იქნება, თუ სად არის ესა თუ ის კაბინეტი, რაც დაეხმარება მშობელს მარტივად მიაგნოს სასურველ კლასს.

სასურველია, სკოლაში დამკვიდრებული იყოს ახალი მოსწავლეების და მათი მშობლების მიღების წესი. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლები, ძველი მოსწავლეების მშობლები საგანგებო შეხვედრას უწყობდნენ ახლადმოსულ ბავშვებს და მშობლებს, აცნობენ მათ სკოლას, ამით მშობლები ხდებიან მოტივირებულები, სასწავლო პროცესში აქტიურები, სამწუხაროდ, ბევრი პედაგოგი ფიქრობს, რომ მშობელი მოუმზადებელია ეფექტიანი ჩართულობისათვის. მაგრამ ამის გამოსწორება შესაძლებელია კონკრეტული ღონისძიებებით და მეთოდებით, რაც შეამცირებს მშობლებთან ურთიერთობით გამოწვეულ შფოთს.

მშობელთან აქტიური თანამშრომლობა მასწავლებელს ეხმარება, გახდეს უფრო თავდაჯერებული, რაც მისთვის სარგებლიანი და ნაყოფიერი იქნება.

1. მასწავლებელს უჩნდება მეტი პატივისცემა საკუთარი პროფესიის მიმართ.
2. მასწავლებლები უფრო კმაყოფილნი არიან საკუთარი სქმიანობით.
3. კმაყოფილნი არიან გამოწვეული დადებითი შედეგით.
4. სურთ მეტი სიახლე დანერგონ კლასში.
5. უფრო უკეთ ჩართონ მშობელი სასწავლო პროცესში.

ზემოთ ჩამოთვლი ამ ყველაფერს ძალიან დიდი სარგებელი მოაქვს სკოლისათვის სკოლას მეტი მხარდაჭერა და რეპუტაცია აქვს მშობლისგან, იზრდება სკოლის იმიჯი საზოგადოებაში, სკოლებში სადაც მოსწავლეთა მოსწრება ძალიან დაბალია, მშობლის ჩართულობის გაზრდის შემდეგ ეს მაჩვენებელი აშკარად უმჯობესდება. მაგრამ არის ისეთი მშობლები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ აქვს გარკვეული კვალიფიკაცია და განათლება, რაც მოსწავლესთან მუშაობაში გამოადგება, თუმცა არ იცის, როგორ მოახდინოს საკუთარი ცოდნის რეალიზება ბავშვის განათლებაში. ამის ახსნა შესაძლებელია მასწავლებლის და მშობლის კომუნიკაციის მეშვეობით, მასწავლებელი არ უნდა დაელოდოს მშობლისგან დახმარების შემოთავაზებას, თავად პედაგოგმა უნდა სთხოვოს დახმარება მოსწავლის მუშაობაში ჩასართველად, შეადგინოს საქმიანობის ჩამონათვალი, ჩაატაროს მშობელთა გამოკითხვა ან შეხვედრა, თუ რა სახის დახმარებას საჭიროებენ მშობლები მოსწავლის ხელშეწყობის მიზნით სასწავლო პროცესში ეფექტიანად ჩასართავად. მასწავლებლებმა უნდა განახორციელონ პროექტები, სადაც ჩართული იქნება მოსწავლის მშობლები.

პროექტი „ქართულის ოჯახური დღე“

ქართულის ოჯახური დღე ძალიან სახალისოა როგორც მასწავლებელისათვის, ასევე მშობლისათის. ეს აქტივობა აძლევს მოსწავლეს შესაძლებლობას, გამოამჟღავნოს სკოლაში მიღებული ცოდნა მშობლებს კი ეძლევათ შესაძლებლობა, ნახონ თუ რა ისწავლეს მათმა შვილებმა ქართულში და რა უნარებს ფლობენ.

მაგალითად: სათამაშო გარემოში მშობელი იღებს ინფორმაციას ბავშვისაგან, რას და როგორ სწავლობენ, რაში სჭირდება დახმარება, რა არის ქართულში სუსტი მხარე და ძლიერი, სასიამოვნო არის თუ არა ქართულის გაკვეთლი ბავშვისათის.

მხიარული სტარტები მშობლების მონაწილეობით

მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისათვის მნიშვნელოვანია სპორტული ღონისძიებების ხშირად ჩატარება. მსგავის პროექტები უფრო წარმატებით განხორციელდება თუ პროექტში მშობლებიც ჩაერთვებიან ეს ბავშვებისათვის უფრო სახალისო და საინტერესო იქნება. მხიარული სტარტების ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ ყველა მშობლის ჩართულობა, ასევე ყურადღება უნდა მიექცეს აქტივობების თანაბარ გადანაწილებას

სპეციალური საჭიროების მქონე მშობლებზე, ერთმშობლიანი ოჯახის მოსწავლეებზე და მათ თანმხლებ პირებზე.

მსგავსი პროექტები და აქტივობები უამრავია, რაც მშობელს მონაწილეობას მიაღებინებს სასწავლო პროცესში, მაგრამ მშობლის მხრიდან დიდი სურვილი და მონდომებაა საჭირო, სკოლებმა კი მათთან ერთად უნდა ითანამშრომლონ, რათა სკოლასა და ოჯახს ერთნაირი მოლოდინები ჰქონდეთ და სწავლების პროცესს ხელი შეუწყონ, ასევე მოსწავლეებს მოტივაციას უმაღლებს ისეთ სასკოლო გარემოში სწავლა, სადაც მშობელს პატივს სცემენ, მიიჩნევენ პარტნიორად, კომუნიკაცია აქვთ სკოლის პერსონალთან და სხვა. მშობელთა ეფექტიანი ჩართულობის პროგრამა, რომელსაც სკოლა ახორციელებს, უნდა აღიარებდეს სწავლებაში მშობლის როლის მნიშვნელობას.

ყველა მშობელს სურს საკუთარი შვილისათვის საუკეთესო, მშობლის ოცნება უკავშირდება შვილებს მრავალფეროვან საზოგადოებაში ეს იმედი და მოლოდინები განსხვავებულია, შეგვიძლია დავსვათ კითხვები, მაგალითად: რა სჭირდება ბავშვებს იმისათვის, რომ დღევანდელ საზოგადოებაში წარმატებული იყოს? შეეძლოს უნდა თუ არა საკუთარი აზრის თამამად გამოხატვა, მისაღებია თუ არა მშობლის მითითებით დახატოს პეპელა თუ ისე, როგორც მას მოუნდება? სავალდებულო არის თუ არა ლექსების დაზეპირება? - ამ კითხვებზე საზოგადოებაში უნივერსალური პასუხები არ მოიძებნება, რადგან სხვადასხვა კონტექსტში სწორად განსხვავებული მიდგომები მიიჩნევა ღირებულად. ბავშვის ხელშეწყობა ოჯახურ გარემოში, ბუნებრივია, ბევრად მეტს ნიშნავს, ვიდრე მეცადინეობის დროს დახმარებას, შესაძლოა რთულია, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია თითოეული ბავშვის შესაძლებლობების შემჩნევა და წახალისება, ბავშვის ერთობლივი აღზრდისა და განათლების პროცესში მშობლებთან თანამშრომლობის დროს მნიშვნელოვანია ყველა მშობლის თანასწორ პარტნიორად მიღება. ნებისმიერ მშობელთან ურთიერთობა შეიძლება რთული აღმოჩნდეს, მიუხედავად მშობლის სქესისა, ეთნიკური წარმომავლობისა, ოჯახური მდგომარეობისა განათლებისა და შემოსავლისა. მასწავლებლისა და კლასის ხელმძღვანელის მოვალეობაა თითოეულ მშობელთან ინდივიდუალური კავშირის დამყარება.

ფორმალულ განათლებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე არგუმენტები შეგვიძლია ორ ნაწილად გავყოთ: ინსტრუმენტული და უფლებრივი.

ინსტრუმენტული მიიჩნევა მშობლის მონაწილეობის მნიშვნელად, რადგან ის ემსახურება ბავშვის განვითარებისა და სწავლის უკეთესი შედეგების მიღწევას. უფლებრივი გულისხმობს მშობლებს თანაბარ მონაწილე მხარედ და მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში მოიაზრებს როგორც დემოკრატიული მართვის პრინციპზე დაფუძნებული ხარისხიანი განათლების განუყოფელ ნაწილს. გთავაზობთ ძირითად და მნიშვნელოვან არგუმენტებს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ:

- მშობლები ბავშვების პირველი მასწავლებლები არან;
- მშობლები უკეთ იცნობენ ბავშვებს, განსაკუთრებით ადრეულ ასაკში;
- მშობელი მასწავლებელს ეხმარება ბავშვის უკეთ გაცნობაში;
- ბავშვები ცხოვრობენ რამდენიმე სივრცეში: ოჯახი, სკოლა, საზოგადოება;

მშობელთა სასკოლო ჩართულება უზრუნველყოფს ამ სივრცეების გაერთიანებას.

§4. ინკლუზიური განათლების მიმართულებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა

ინკლუზიური განათლების მიზანია, ყველა ბავშვს მიეცეს შესაძლებლობა თანატოლებთან სწავლის და მიიღოს ხარისხიანი განათლება, ინკლუზიური განათლების საერთაშორისო მოდელის მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სრულფასოვანია წევრია, ის უნდა მონაწილეობდეს სასკოლო აქტივობებში, რასაკვირველია, სწავლის განსხვავებული და მათზე მორგებული მეთოდებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შეფასება ხდება იმავე პრინციპით, რომლითაც ხდება სხვა მოსწავლის შეფასება, მაგრამ თუ სპეციალრი საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე განათლებას იღებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, ფასდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევებით. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის კლასში ყოფნისას უმეტეს

შემთხვევაში იქმნება ისეთი გარემო, რომ ბავში თავს გარიყულად გრძნობს, არ ურთიერთობს თანატოლებში, რადგან ჰგონია, ის რაღაცას დაუშავებს, დაარტყამს, გამოიჩენს მის მიმართ აგრესიას. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი უდიდეს როლს ასრულებს, მას შეუძლია პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება ბავშვებს შორის, დაგეგმოს ჯგუფური აქტივობები, რაც განავითარებს მოსწავლეებს შორის თანამშრომლობის უნარს. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს დაეხმაროს თავისი შესაძლებლობების გამოვლენაში, სპეც მასწავლებელი ასევე აქტიურად მონაწილეობს მოსწავლის ირგვლივ მიმდინარე პროცესებში, ის ასევე კონსულტაციას უწევს ბავშვის ირგვლივ მომუშავე პირებს (მშობელი, მასწავლებელი, აღმზრდელი და სხვა).

სპეციალური საგანმანათლებლო სჭიროების მქონე მოსწავლის სოციალური უნარების ქცევების გაუმჯობესება მიმართულია მეცადნიეობაზე. ინდივიდუალური მუშაობის გარდა, მასწავლებელი ვალდებულია მოსწავლე ჩაართოს ჯგუფურ მუშაობაში, ჯგუფური მუშაობა საუკეთესო საშუალებაა ისეთ მოსწავლეებთან, რომელსაც კომუნიკაციის დამყარების პრობლემა აქვს.

სკოლაში წარმატებით რომ განხორციელდეს ინკლუზიური განათლება საჭიროა გაუმჯობესდეს სასწავლო გეგმები, დაინერგოს კვლევის ახალი მეთოდები, დაკმაყოფილდეს მოსწავლის მოთხოვნილებები, დირექტორმა ყურადღება უნდა მიაქციოს პედაგოგის პროფესიულ განვითარებას, სკოლა აღჭურვილი უნდა იყოს საჭირო ინვენტარით, ადაპტირებული უნდა იყოს სკოლის გარემო, რათა მოსწავლეს არ გაუჭირდეს გადადგილება, დირექციამ ასევე უნდა იზრუნოს სკოლის გარემოზე, კლასში შესასვლელი კარები უნდა იყოს განიერი, კარების გადასასვლელებზე არ უნდა იყოს ზღურბლი, ყველანაირი ბარიერისგან უნდა იყოს გარემო თავისუფალი.

ის აუცილებელი ჩამონათვალი, რომელიც სკოლას სჭირდება სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონეს მოსწავლის ყოფნის შემთხვევაში: გარე პანდუსი, შიდა პანდუსი, სასურველია ლიფტი, სასკოლო ოთახებში მოეწყოს მცირე დახრა, დერეფნებში მოეწყოს მცირე დახრა, კარები განიერი ეტლის სიგანის გათვალისწინებით, კარის სახელურები სიმაღლის გათვალისწინებით, მერხის ზომა და სიმაღლე ბბავშვზე მორგებული.

სკოლაში, სადაც ინკლუზიური განათლება ხორციელდება, აუცილებელია რესურსოთახი, სადაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე

მოსწავლეები შეძლებენ დაისვენონ, სპეცმასწავლებელმა მოამზადებინოს გაკვეთილები, ასევე ჩაუტარდეთ დამატებითი გაკვეთილები, სადაც შეხვედრა მოხდება ფსიქოლოგთან, რაც მთავარია, ოთახი უნდა, იყოს აღჭურვილი სპეციალური ავეჯით, სასწავლო ვიზუალური მასალით, წიგნებითა და კომპიუტერული ტექნიკით.

აქედან გამომდინარე, სკოლა უნდა იყოს აუცილებლად პასუხისმგებელი თითოეული ბავშვის წარმატებაზე და წარუმატებლობაზე. მხოლოდ ერთ მასწავლებელს არ მოეთხოვება პასუხი მოსწავლის განთლებაზე. მთლიანმა სკოლამ უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა განათლებაზე, ამ პროცესს უნდა ხელმძღვანელობდეს დირექტორი და აქტიურად უნდა იყოს ჩართული სპეციალური საგანმანათლბლო სჭიროების მქონე მოსწავლის აღზრდა-განვითარებაში. დღეს განათლების სისტემა ცდილობს, სკოლების ორგანიზება და სწავლების სტილი იმგვარად შეცვალოს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალობა დაფასდეს და მათი განსხვავებული საჭიროებები დაკმაყოფილდეს.

ყველა ამ მიდგომისა და პროგრამის განხორციელება შეუძლებელია მშობელთა აქტიური ჩართულობის გარეშე, რადგან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს ფაქტიურად მუდმივი კავშირი აქვს მშობელთან.

მშობლის ჩართულობა ამ მხრივ მნიშვნელოვანია, როგორც სახლის ასევე სასკოლო პირობებში, რადგან მოსწავლე არ უნდა გრძნობდეს თავს მარტოდ და მშობლის თანადგომას უნდა გრძნობდეს მუდამ. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების მშობლებს და სკოლას შორის უნდა ჩამოყალიბდეს პარტნიორული ურთერთობა. მშობლებიც საჭიროებენ ფსიქოლოგიურ დახმარებასაც, რადგან უწევთ ბრძოლა მძიმე სენის დამარცხებაში, სურთ გახდნენ თავიანთი შვილები ისეთები, როგორებიც არის ყველა დანარჩენი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში მიზანს ბოლომდე ვერ აღწევენ, რადგან ზოგიერთი სენი ბოლომდე განკურნებადი არაა, სკოლის პერსონალმა, პედაგოგებმა, გადაწყვეტილების მიღების დროს, მშობლები აქტიურ პარტნიორებად უნდა მოიაზრონ, ასევე მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რომ როგორც მშობლებმა და მასწავლებლებმა. არ დააკნინონ ბავშვის შესაძლებლობები, თავადაც უნდა ირწმუნონ მათი და გაამყარონ რწმენა, ჩაუნერგონ წინსვლის იმედი ეს არის წარმატებული სწავლისათვის აუცილებელი პირობა.

ათასობით პედაგოგი ცდილობს პრობლემის მოგვარებას იმის სრული გაცნობიერებით, რომ მოსწავლე–მასწავლებელი–მშობელი სასკოლო ცხოვრების ერთი მთლიანი მექანიზმია

მშობელთან ეფექტური კომუნიკაციისთვის მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

1.საუბარს ნუ დაიწყებს პრობლემით.

2.გამოიჩინოს ყურადღება პედაგოგმა.

3.გულდასმით მოუსმინოს მშობელს, არ გააკრიტიკოს.

4. დაუთმოს მშობელს იმდენი დრო, რამდენიც საჭიროა.

5.პირადად ჰყავდეს მშობელი ინფორმირებული, წერილობით თუ პირისპირ საუბრებით.

ბუნებრივია, რომ ყველა ბავშვს პატარობიდან უნდა ექმნებოდეს ყველა პირობა იმისათვის, რომ მათ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწიონ.

სკოლა და საზოგადოება განსაკუთრებულ როლს თამაშობს ბავშვის განვითარებაში. აუცილებელია მოსწავლის ფსიქოლოგიური უნარებთან ერთად უნარების სტრატეგიების შემუშავება.

არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობები !... ის დაძლევადი და მოგვარებადია თუ მოზარდს გვერდით ჰყავს აქტიური მშობლები, მასწავლებლები და მეგობრები. დღეს, 21 - ე საუკუნეში სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლის ყოფა - ცხოვრება უფრო ინტეგრირებულია, ქმედითი, ჩართული და აქტიურია, სადაც დიდი წვლილი მათ მშობლებს მიუძღვით. მათი შვილებიც სრულფასოვანი საზოგადოების წევრები არიან, რასაც ვერ ვიტყოდით გასული საუკუნების მშობლებზე, მასწავლებლებზე და მათ დამოკიდებულებებზე. მკვეთრად განსხვავდება დღევანდელი მშობელი წინა საუკუნის მშობლისგან. ეს ხელს უწყობს მათი შვილების თვითაქტუალიზაციას, თვითდაჯერებულობას და თვითრეგულაციას. ბავშვები მშობლების დახმარებით ბევრ წარმატებას აღწევენ, მშობლები შვილებთან ერთად სასკოლო ცხოვრების აქტიური წევრები ხდებიან ბევრმა მიზანდასახულმა მშობელმა შეცვალა შვილის ცხოვრება უკეთესობისკენ. ასეთი ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მშობლები აწყობენ სხვადასხვა ღონისძიებას სკოლაში თუ სკოლის გარეთ, სპორტულ შეჯიბრებებში იღებენ

მონაწილეობას შვილებთან ერთად, აწყობენ გამოფენებს. შვილისთვის მშობელი მაგალითი და იდეალია.

რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მშობლები აღვსილი უნდა იყვნენ მოთმინებით! მცირედმა გაუგებრობამ და მოულოდნელმა სირთულემ შესაძლოა მძაფრი ემოციური რეაქცია გამოიწვიოს მოზარდში. ამ დროს მას შეცოდებით და მოფერებით ვერ დავეხმარებით, არამედ მხოლოდ მოთმინებით და მისი საჭიროებისადმი ინდივიდუალური მიდგომით .

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მშობელთა აქტიური ჩართულობა სასკოლო სცხოვრებაში არის უპირობო და აუცილებელი. რაც უფრო მეტად იქნება მშობელი ჩართული შვილის განათლების მიღებაში, მით მეტია შანსი, რომ მოსწავლემ მიიღოს განათლება იმ ხარისხით, რაც საკმარისი იქნება შემდგომ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად და მით უფრო მეტია შანსი მისი ჩამოყალიბების რომელიმე დარგის სპეციალისტად.

§5. სტრატეგიები მშობელთა ჩართულობის გაზრდისათვის

რას ნიშნავს მშობელთა ჩართულობა მოსწავლის აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში, რატომ არის ეს მნიშვნელოვანი და როგორ უნდა უზრუნველვყოთ მშობელთა აქტიურობა ამ მიმართულებით. მშობელთა ჩართულობას მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია ბავშვის განვითარებაზე სასკოლო ასაკში, როდესაც მოსწავლის წინაშე სერიოზული აკადემიური და სოციალური გამოწვევები ჩნდება.

მშობელთა ჩართულობის მასშტაბი და ფორმები შესაძლოა იცვლებოდეს და დამოკიდებული იყოს მათ განათლებაზე, სოციალურ სტატუსზე, ასაკზე და სხვ. ეს შესაძლოა გულისხმობდეს როგორც სასკოლო დავალებების შესრულებისას შვილის დახმარებას, ასევე მოსწავლის ხელშეწყობას, რათა მან უკეთ მოახდინოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება, დროის სწორი მენეჯმენტი; ასევე მშობელთა აქტიურ

ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში და აქტიურ კომუნიკაციას შვილის პედაგოგებთან.

გთავაზობთ სტრატეგიებს მშობელთა ჩართულობის გაზრდისათვის

1. უმასპინძლეთ მოსწავლეთა ოჯახებს სკოლაში შემდეგ ღონისძიებებზე:

-წიგნების გამოფენა-გაყიდვა;

-საქველმოქმედო აქცია: ნამცხვრების ცხობა და გაყიდვა ქველმოქმედებისათვის;

-სემინარები მშობლებისათვის - როგორ ჩაერთონ შვილის განათლებაში;

-მშობლის/მოსწავლის საორიენტაციო დღე ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში;

-მშობელთა სემინარი კონკრეტულ საგნობრივ ჯგუფში - როგორ დაეხმარონ მოსწავლეს;

-მოხალისეობის პროგრამა (მშობელი-მოხალისე 2-3 საათი წელიწადში);

-სპექტაკლები (მოსწავლეები თავად აკეთებენ მოსაწვევებს მშობლებისთვის);

-სკოლის გარეშე პროგრამები;

-კონფერენციები, სადაც მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, მიღწევებს მშობლების წინაშე.

2.მშობელთან ურთიერთობისას გამოიყენეთ სხვადასხვა მეთოდი:

-შეიმუშავეთ კომუნიკაციის მეთოდები, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ მშობელზე (დარეკვა, იმეილი, მესიჯი, შეხვედრა);

-შეაქმნევინეთ მოსწავლეებს ბლოგები, რომლებიც ხელმისაწვდომი იქნება მშობლებისთვისაც;

-მისწერეთ მშობლებს საერთო ინფორმაციის შემცველი წერილები, რომლებშიც თითოეული მოსწავლის შესახებ ინდივიდუალურადაც იქნება საუბარი;

-მოუწყვეთ მშობლებს შეხვედრები დირექტორთან;

-შეაფასებინეთ საკუთარი თავი მოსწავლეებს და წარუდგინეთ მშობლებს;

-აწარმოეთ ანგარიშები მოსწავლეთა შესახებ, გააცანით ისინი მშობლებს ინდივიდუალურად;

-განიხილეთ მშობლებთან ერთად სხვადასხვა გადაწყვეტილება (რეგულაციები, წესები, შეფასების სისტემა, დავალებების ტიპები);

-მიეცით რეკომენდაციები მშობლებს მოსწავლის ამა თუ იმ ნიჭის გამოსავლენად;

-აღნიშნეთ ხშირად, თუ რას აკეთებს მოსწავლე კარგად; მოსწავლის რვეულში გააკეთეთ აღნიშვნები მიღწევების შესახებ;

-გამართეთ შეხვედრები მშობლებთან სხვადასხვა დროს: გაკვეთილების შემდეგ, გაკვეთილების დაწყებამდე, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ;

-ჩაატარეთ საჭიროებათა კვლევა (გამოკითხვა) მოსწავლეებსა და მშობლებში;

-გაუზიარეთ მშობლებს მოსწავლის შესახებ სრული ინფორმაცია შესრულებული სამუშაოებისა და განმავითარებელი შეფასების შესახებ, კომენტარებით.

3.უზრუნველყავით მშობელი დამატებითი რესურსებით.

-შესთავაზეთ ტრენინგები მშობლებს მათთვის საინტერესო თემებზე (მაგ., საინფორმაციო ტექნოლოგიები, უცხო ენის სწავლება, მოსწავლის საშინაო დავალებების მომზადება);

-ჩაატარეთ სემინარები ფსიქოლოგებთან ერთად, ასევე პროფესიული ორიენტაციისა და აკადემიური პროგრამების არჩევის შესახებ;

-გააცანით მშობლებს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობის სტრატეგიები, გაუზიარეთ შესაბამისი რესურსი.

§6. მშობლებთან ერთად შესასრულებელი დავალებები

თანამედროვე საქართველოში, რაც უფრო იხვეწება განათლების სისტემა, უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მშობლების როლი სასკოლო ცხოვრებაში. ეს განათლების სამინისტროს რეფორმებსა და სასწავლო გეგმაშიც არის გაწერილი.

მოსწავლეთა წარმატებისთვის მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. რაც უფრო მეტადაა ჩართული მშობელი შვილის სწავლებისა და განათლების მიღების პროცესში, მით უფრო მაღალია მოსწავლის მიღწევების დონე, იზრდება მოსწავლის მოტივაცია, ბავშვს მეტად უყალიბდება სკოლისადმი პოზიტიური დამოკიდებულება, იზრდება სწავლის

ხარისხი, უმჯობესდება დისციპლინა, იზრდება სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტი, ხოლო წარმატებული სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი – მშობელსა და სკოლას შორის დამყარებული კეთილგანწყობაა. რაც უფრო მეტად არის მშობელი ჩართული და დაინტერესებული შვილის სასკოლო ცხოვრებაში, მით უფრო მეტია შანსი მოსწავლემ მიიღოს სრულყოფილი და მაღალი ხარისხის განათლება.

ვფიქრობთ, მშობლები, ოჯახის წევრები განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო რესურსის მომზადების პროცესში. შემოგთავაზებთ მშობლებთან ერთად შესასრულებელ რამდენიმე დავალებას.

1. **მოსაწვევი და აფიშა**

სასწავლო მიზნები: ინფორმაციული ტექსტის (მოსაწვევი ბარათის, აფიშის) ძირითადი ენობრივი და სტილისტური მახასიათებლების გაცნობა; ინფორმაციის ორგანიზებისა და წერილობით წარმოდგენის უნარ-ჩვევების განვითარება.

ინტერაქტიულობა. ამა თუ იმ სპექტაკლის ან პრეზენტაციის მომზადების პერიოდში, მასწავლებელი შესთავაზებს მოსწავლეებს, მოამზადონ აფიშა, მოსაწვევი ბარათები ღონისძიებაზე დამსწრები სტუმრებისთვის (ოჯახის წევრებისთვის, მასწავლებლებისთვის, მეგობრებისთვის, მისთ.). მასწავლებელი განუმარტავს მათ, რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს წარმოდგენილი აფიშასა და მოსაწვევზე. სთხოვს, მოიფიქრონ დიზაინი და გააფორმონ ტექსტით, დაფიქრდნენ მათ დანიშნულებაზე: რატომ კეთდება, რა ელემენტებისაგან შედგება (იგულისხმება ინფორმაციული და ვიზუალური მხარე). მოდელის საჩვენებლად მასწავლებელი წარუდგენს მოსწავლეებს ნიმუშებს, გაამახვილებს ყურადღებას მოსაწვევი ბარათისა და აფიშის ენობრივ-გრამატიკულ და სტილურ მახასიათებლებზე (მრავლობითი რიცხვის ფორმები, თავაზიანობის გამომხატველი ლექსიკა, მისთ.). ტექსტი იწერება ნაბიჯ-ნაბიჯ, მოსწავლეთა უშუალო თანამონაწილეობით. ტექსტის დასრულების შემდეგ მასწავლებელი სთხოვს სურვილისამებრ, გააფორმონ იგი ნახატით, ფოტოთი თუ აპლიკაციით. თითოეული მოსწავლე თავად გადაწყვეტს, ვისთვის დაამზადებს მოსაწვევს.

შემდეგ გაკვეთილზე მასწავლებელი დაათვალიერებს მოსწავლეების ნამუშევრებს, გაამხნევებს და წაახალისებს მათ პოზიტიური კომენტარებით.

მოსწავლეების მიერ დამზადებული მოსაწვევები ღონისძიების ჩატარებამდე გარკვეული ხნით ადრე დაურიგდებათ მოსაწვევ სტუმრებს.

მეთოდური რეკომენდაციები: გასათვალისწინებელია, რომ ამ ტიპის ტექსტებზე მუშაობა კონკრეტული კონტექსტის გარეშე ეფექტური არ არის. მოსწავლეები უფრო მოტივირებულები არიან, როცა იციან, რომ მათ ნაშრომს, მასწავლებლის გარდა, სხვაც გაეცნობა. ამიტომ სასურველია, რომ მოსაწვევი ბარათის შედგენაზე მუშაობა დაკავშირებული იყოს რაიმე კონკრეტულ ღონისძიებასთან.

აფიშაზე უნდა იყოს მითითებული: პიესის/ზღაპრის/მოთხრობის დასახელება; ავტორი; პერსონაჟები; წარმოდგენის გამართვის დრო და ადგილი. აფიშაზე, შესაძლოა, დამატებული იყოს ინფორმაცია, ციტატა ნაწარმოებიდან, ვიზუალური გამოსახულება, რომლითაც უფრო მეტად მიიზიდავენ და დააინტერესებენ მაყურებელს. მოსაწვევზე უნდა იყოს მითითებული: მიმართვა, ღონისძიების დასახელება, ღონისძიების ადგილი, დრო, ორგანიზატორის ვინაობა, თხოვნა დასწრების თაობაზე, სხვ.

რესურსები: კალამი, რვეული, სანიმუშოდ შერჩეული მოსაწვევი ბარათი/ბარათები, A3 ფორმატის ქაღალდი, საწერი ფურცლები ან ბარათები, ფერადი ფანქრები, აპლიკაციები.

გამოყენების ინსტრუქცია:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს:

1. დაწერე მოსაწვევი ბარათი, გააფორმე იგი შესაბამისად და გაუგზავნე შენთვის სასურველ სტუმარს
2. შეადარე ერთმანეთს შემოთავაზებული მოსაწვევები და დაადგინე, რას უნდა შეიცავდეს იგი.
3. შექმენი აფიშა მოსალოდნელი ღონისძიებისათვის
4. დააზუსტე, რა უნდა იყოს მითითებული აფიშაზე
5. წარმოიდგინე, როგორ გააფორმებდი აფიშას, მოსაწვევს შენი ბენეფისისთვის.

კავშირი სხვა საგნებთან. აქტივობა ინტეგრირებულია სახვით და გამოყენებით ხელოვნებასთან.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: https://mooovie.me/profile/videos/20780/edit - ვიდეომოსაწვევის შექმნა

2. დიორამა

დიორამა არის ტექსტის მიხედვით შექმნილი მოვლენის, ინტერიერის, პეიზაჟის, ქალაქის ხედის სამგანზომილებიანი მინიატურული მოდელი, რომელსაც ქმნიან გასართობი, შემეცნებითი ან სასწავლო მიზნებისათვის. მათ ყველაზე ხშირად ვხვდებით მუზეუმებში.

სასწავლო მიზნები: მოსწავლეები საფუძვლიანად გაიგებენ წაკითხული ტექსტის შინაარსს; ისწავლიან დეტალებზე დაკვირვებას; გამოავლენენ წარმოსახვისა და შემოქმედებით უნარებს. დიორამის შექმნის მიზანია თანამშრომლობითი და შემოქმედებითი უნარების განვითარება, დროის მართვა, ინიციატივის გამოჩენა, გადაწყვეტილების მიღება, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

ინტერაქტიულობა. ძალიან მოსწონთ ბავშვებს, ტექსტის გაცოცხლებით დიდ სიამოვნებას იღებენ, ვიზუალურად აღიქვამენ წაკითხულს, სწავლობენ უცხო სიტყვებს. საფუძვლიანად იგებენ ტექსტის შინაარსს. მასწავლებელს მოსწავლეებთან ერთად შეუძლია მოთხრობა გადააქციოს სამგანზომილებიან სივრცედ.

როგორ უნდა განვახორციელოთ?

1. ტექსტის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, რა არის მათი ამოცანა და სთხოვს, შეარჩიონ სცენები ნაწარმოებიდან, რომელთა დიორამის შექმნასაც ისინი ისურვებდნენ. შენიშვნა: დასაშვებია, რომ მოსწავლეებმა დიორამის შესაქმნელად შეარჩიონ, მაგალითად, ინტერიერი (რომელიმე პერსონაჟის ოთახი), პეიზაჟი, ქალაქის/სოფლის ხედი, მთავარია, რომ თითოეული სცენა ნათლად ასახავდეს ტექსტის შინაარსის გაგების ხარისხს.

2. რამდენიმე სცენის შერჩევის შემდეგ მასწავლებელი ყოფს კლასს ჯგუფებად დაავალებს, ერთად მოიფიქრონ და შეარჩიონ მასალა ამ სცენის ამსახველი დიორამის შესაქმნელად.

3. შეთანხმებულ დღეს მოსწავლეებს მოაქვთ მშობლებთან ერთად შექმნილი დიორამები ან საჭირო მასალა და იწყებენ მუშაობას. მასწავლებელი ზედამხედველობას უწევს ამ პროცესს და, საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება მათ ზოგიერთი ოპერაციის შესრულებაში.

4. მუშაობის დასრულების შემდეგ კლასში განიხილავენ თითოეულ ნამუშევარს. მოსწავლეები გამოთქვამენ აზრს თავიანთი თანაკლასელების მიერ შექმნილი

დიორამების შესახებ, აფასებენ, რა არის ზედმეტი, რა აკლია (მაგ., ნაწარმოებში წერია, რომ ბაბუა ბუხარს მიუჯდა, დიორამაზე კი ბუხარი არ არის...) და ა.შ.

მეთოდური რეკომენდაციები.

- დიორამის შექმნა უნდა დაიგეგმოს ერთი ან ორი დღით ადრე.
- არ არის მიზანშეწონილი მასობრივი ან ბატალური სცენების შერჩევა, რადგანაც მათი შექმნა შეიძლება დაუძლეველი ამოცანა აღმოჩნდეს მოსწავლეებისთვის.
- მასალა დიორამისთვის აუცილებლად უნდა იყოს მარტივი და ადვილად ხელმისაწვდომი.
- კარგი იქნება, თუ მოსწავლეთა ნამუშევრები კლასის ან სკოლის მუზეუმში გამოიფინება.

კავშირი სხვა საგნებთან. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

ვიდეორესურსები დიორამის მოსამზადებლად:

https://www.youtube.com/watch?v=C4FO_0Zl3S8

https://ru.wikihow.com/%D1%81%D0%B4%D0%B5%D0%BB%D0%B0%D1%82%D1%8C-%D0%B4%D0%B8%D0%BE%D1%80%D0%B0%D0%BC%D1%83

https://www.pinterest.ru/pin/362610207471904995/

http://globaltao.com/uchebnye-posobiya/texnologiya-dioram-chast-1.html

ნიმუში:

3. ლეპბუკი

ლეპბუკი ესაა კონკრეტულ თემაზე შექმნილი ინტერაქტიული საქაღალდე, გასაშლელი წიგნი ჯიბაკებით, ფანჯრებითა და მოძრავი დეტალებით, სადაც

მოსწავლეს შეუძლია ჩააწყოს დავალებები, ბარათები, მასალები, თავისი შეხედულებისამებრ დახარისხებული ინფორმაცია.

სასწავლო მიზნები. ლეპბუკის შექმნა ხელს უწყობს: ცოდნის განზოგადებას, ინფორმაციის სტრუქტურიზაციას, შემეცნებით ინტერესსა და შემოქმედებით აქტივობას, თემის გამრავალფეროვნებას, ყურადღების, მეხსიერებისა და აზროვნების განვითარებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას, განვლილი მასალის გამეორებას.

ლეპბუკის შექმნის ძირითადი პრინციპია ინფორმაციის შევსების შესაძლებლობა, მობილობა, საინტერესო შინაარსი.

ლეპბუკის გამოყენების მნიშვნელობა დიდია მოსწავლეებისთვის, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის.

1. ლეპბუკის გამოყენება სხვადასხვა საგნის სწავლებისას უზრუნველყოფს მოსწავლის განვითარებას, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, სოციალური სტატუსისა, მათ შორის შსსმ თუ განსაკუთრებით ნიჭიერი მოსწავლისა.

2. ლეპბუკის გამოყენება შესაძლებელია ინდივიდუალური, წყვილური თუ ჯგუფური მუშაობისას, აგრეთვე დიფერენცირებული სწავლებისას.

3. შესაძლებელია ლეპბუკის ტრანსფორმირება, ნებისმიერ დროს მისი ახალი მასალით შევსება.

4. იგი არის სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის ერთ-ერთი ფორმა

5. ლეპბუკი გამოიყენება სხვადასხვა ასაკში და არ მოითხოვს პედაგოგისგან სპეციალურ განათლებას.

6. ლეპბუკის შექმნა არ უკავშირდება განსაკუთრებულ მატერიალურ დანახარჯს.

გამოყენების შესაძლო ვარიანტები.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეს:

1. შემოთავაზებული რეკომენდაციებისა და ვიდეორგოლების მიხედვით შექმენი ლეპბუკი
2. შეავსე მასწავლებლის შემოთავაზებული ლეპბუკი
3. წარმოადგინე ლეპბუკის შექმნის იდეები (სად რას განათავსებ, რას ჩაწერ)
4. მოაწყვე ჯგუფის მიერ შემნილი ლეპბუკის პრეზენტაცია

ვიდეოინსტრუქცია ლეპბუკის მოსამზადებლად:

https://www.youtube.com/watch?v=-PxQBRVKXzE

https://www.pinterest.ru/pin/717198309391329665/

http://www.tavika.ru/2014/09/MK-lapbook.html

https://www.pinterest.ru/pin/814166438869548805/

ნიმუშები:



4. **სამაგიდო თამაშები**

სასწავლო მიზნები. ხელს უწყობს ისეთი საგნობრივი უნარების განვითარებას, როგორიცაა: ზოგადი წიგნიერება, ლექსიკური მარაგის გამდიდრება, ავითარებს ისეთ მნიშვნელოვან უნარებს, როგორიცაა: ლოგიკური აზროვნება, დაკვირვება, ყურადღება, მეხსიერება, ნატიფი მოტორიკა.

ინსტრუქცია: ლოტო. თამაში იწყება ბარათების დარიგებით, რომელზეც ანდაზა ან აფორიზმი იქნება მითითებული, მოსწავლეებს შეეძლებათ როგორც ლოტოს ასევე, ასოციაციობანას პრინციპით თამაში. თამაშის კომპლექტი უნდა შედგებოდეს აფორიზმების/ანდაზის/გამონათქვამის ბარათებისგან (არანაკლებ 30), კამათლისაგან, ლოტოსთვის სიტყვების პატარა ბარათებისგან (არანაკლებ 152 ცალი),

ბარათებს ყველა მონაწილე ხედავს, გარდა ბარათის მფლობელისა. თამაშს იწყებს პირველი წყვილი, პარტნიორმა, ისევე როგორც ყველა დანარჩენმა, იცის (უნდა ახსოვდეს ერთი შეხედვით), რა შეხვდა მის პარტნიორს და ცდილობს წითელი კოჭები სწორად განათავსოს საინფორმაციო დაფაზე და ასე მიანიშნოს. მოთამაშე ფიქრობს, ამბობს პასუხს და აბრუნებს ბარათს. სწორად გამოცნობის შემთხვევაში გუნდი იმატებს ორ ფირფიტას. თამაშის ნაკრები შედგება: ყუთისგან, ან ფორმატის ,,რუქისგან" მინიშნებებისთვის, ბარათისგან (არანაკლებ 40 ცალისა), მოსანიშნი კენჭებისგან (3 ერთ ფერში და 1 განსხვავებულ ფერში), ქულების მთვლელისგან ("ფიშკები" 2 ქულიანი 6 ცალი 1 ქულიანი 6 ცალი).

ლოტო საშუალებას იძლევა სხვადასხვა სათამაშო სიტუაციების მოდელირებისა.

,,სიბრძნის საუნჯე" წარმოდგენილია სათამაშო ფიშკებით, ერთი კამათლით, დამხმარე ცხრილით და სათამაშო დაფით. დაფის ერთ მხარეს იხილავთ ქართულ ანდაზებს, მეორე მხარეს კი აფორიზმებს შოთა რუსთაველის ,,ვეფხისტყაოსნიდან". თუკი ბავშვი ითამაშებს ანდაზების მხარეს, დაიმახსოვრებს და შეისწავლის ქართულ ანდაზებს, თუ აირჩევს აფორიზმების მხარეს, თამაშით შეასწავლით აფორიზმებს.

"სიტყვობანა"_ძალიან საინტერესო და თავშესაქცევი სამაგიდო თამაშია. 2-4 ადამიანი თამაშობს, ხის დაფაზე ხის ასოს ფილებით ადგენს სიტყვებს, იწერს ქულებს. ესაა თამაში სამივე საფეხურის მოსწავლისათვის.

მოძრავი ანბანი/საანბანო ლოტო ემსახურება წერისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას: ანბანის ასოების ამოცნობა; ნატიფი მოტორიკის განვითარება; წერის პროცესის გააზრება.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოძებნონ საანბანო ლოტოში ან მოძრავ ანბანში ის ასო, რომელსაც იგი დაასახელებს. ამ სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 3-5 წუთი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეები მოძებნიან მასწავლებლის მიერ დასახელებულ ასოს, მათ ფანქრით, ხელის სწორი მოძრაობით უნდა შემოხაზონ იგი. ეს პროცედურა ხუთჯერ-ექვსჯერ შეიძლება განმეორდეს.

პაზლების აწყობა. პაზლების დახმარებით ბავშვი ახერხებს წვრილმანების გაერთიანებას და ერთ მთლიანობად აღქმას. პაზლი მის ფანტაზიას ავითარებს. როცა ბავშვი ნახატის აწყობას ცდილობს, გამოტოვებული ადგილების ნაცვლად სიუჟეტის ლოგიკურ დასასრულს წარმოიდგენს და სწორედ ამის მიხედვით ეძებს შესაბამის ნაწილს. ფსიქოლოგების აზრით, თუ ბავშვი დამოუკიდებლად გაართმევს თავს ამ ამოცანას, განუვითარდება კოგნიტური უნარები. მაგალითად, სწრაფად აითვისებს და გადაამუშავებს ახალ ინფორმაციას. თუ პაზლს მასწავლებელთან, მშობელთან ან მეგობართან ერთად შექმნის და ააწყობს, ბავშვი უფრო კომუნიკაბელური გახდება და ჯგუფურ მუშაობას მიეჩვევა. მას გაუვარჯიშდება მახსოვრობის უნარიც.

ხის მექანიკური 3D პაზლი არის ძალიან საინტერესო ასაწყობი, ძალიან ჩამთრევი და საოცარი საბოლოო შედეგი აქვს – ფიგურებიდან ბავშვი აწყობს ისეთ ნივთს, რომელიც მოძრაობს, დადის.

შემეცნებითი ონლაინთამაშები:

https://ru.thejigsawpuzzles.com/Puzzle-of-the-Day/Colorful-Flowers_2-jigsaw-puzzle - ააწყვე პაზლი

https://www.igraemsa.ru/igry-dlja-detej/pazly - იპოვე განსხვავება

http://kids.ge/game?id=70 - იპოვე დამალული ნივთი

http://kids.ge/game?id=51 - იპოვე მსგავსება

ამგვარი აქტივობების შესრულება ხელს უწყობს მშობლის მონაწილეობას სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეები, რომელთა მშობლებიც აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროცესში, უკეთეს შედეგებს აღწევენ: იღებენ უკეთეს ქულებს, აქვთ უფრო მაღალი აკადემიური მიღწევები და უფრო ხარისხიანად შესრულებული საშინაო დავალებები, მათი დასწრების მაჩვენებელი უფრო მაღალია და გამოირჩევიან პოზიტიური ქცევით, კეთილგანწყობილი არიან სკოლის მიმართ და აქვთ საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რწმენა... ბავშვის მოტივაცია და მიღწევები უმჯობესდება, როცა მშობლები აქტიურად მონაწილეობენ მის წიგნიერ პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში.

კვლევითი ნაწილი

თემიდან გამომდინარე საკვლევად ავირჩიე მშობლები და მოსწავლეები




ვინ დაგხმარებიათ პრობლემის მოგვარებაში?
მშობელი
დამრიგებელი
ორივე
36%
43%
21%


მშობელი მეტწილად ინტერესდება
არ აინტერესებთ ჩემი სასკოლო ცხოვრება 29%
ჩემი აკადემიური მოსწრებით 42%
ჩემი ურთიერთობით თანატოლებთან,მასწავლებლებთან 29%


მშობელი ჩართულია ჩემი სასკოლო დავალებების შესრულებაში
ხშირად
ხანდახან
იშვიათად
10%
33%
57%


ჩემი წარმატებით
14%
21%
65%
მინდა სკოლა ამაყობდეს
მშობელი გავახარო
თავად მინდა დავტკბე


გაქვთ თუ არა სურვილი, რომ დაესწროთ გაკვეთილებს?
კი
არა
ნაწილობრივ
21%
45%
34%


უნდა მინდოდეს თუ არა მშობელი სკოლაში?
იშვიათად
16%
არა
5%
კი
79%
კი
არა
იშვიათად


მოგწონთ თუ არა მშობელთა ჩართულობა სასკლო ცხოვრებაში? დაასაბუთეთ
ნაწილობრივ
2%
არა
26%
კი
72%
კი
არა
ნაწილობრივ


გამართლდა თუ არა თქვენი სურვილები და მოლოდინები სასკოლო პროცესში ჩართულობოით?
კი
29%
ნაწილობრივ
66%
არა
5%
კი
არა
ნაწილობრივ

ინტერვიუს კითხვიდან, როგორი მასწავლებელი გინდათ რომ ასწავლიდეს თქვენს შვილს ? ძირითადი პასუხები, იყო წარმატებული, პასუხისმგებლიანი, სიახლეების მოყვარული, მეგობრული, სამართლიანი, ახალგაზრდა, აქტიური, პოზიტიური. გამოკითხვიდან გამოიკვეთა ის რომ აუცილებლად უნდა იყოს მცოდნე, განათლებული და თავისი საქმის პროფესიონალი.

კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობა აუცილებელია ბავშვებს უფრო უადვილდებათ სასწავლა, ხდებიან მოტივირებულები, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია , რომ მშობლის ვიზიტი სკოლაში არ აკომპლექსებს, ბავშვებს სურთ მშობლის გასახარებლად ისწავლონ ასევე პრობლემის მოგვარებაში მხოლოდ მშობლები არ მოიაზრება, მასწავლებლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს, ბავშვები ასევე თვლიან, რომ მშობლის ვიზიტი სკოლაში ეხმარებათ იყვნენ მაღალი აკადემიური მოსწრების.

გამოკითხვის თანახმად მშობლების უმეტესობას სურს ჩაერთოს სასკოლო პროცეში, დაესწრონ გაკვეთილებს, იყვნენ უფრო მეტად აქტიურები, თუ ეს ყველაფერი განხორციელდება ახალი მეთოდებით და მიდგომებით გამართლდება მშობლის სურვილები და მოლოდინები სასკოლო პროცესში ჩართულობით

დასკვნები და რეკომენდაციები

განხილული თემა იძლევა საკითხის გარკეული ფორმით წარმოდეგნის საშუალებას, არსებობს მიმართულებები სადაც უფრო მეტი ჩართულლობა არის საჭირო მშობელთა მრიდან, რადგან მშობელთა აქტიურობაზეა დამოკიდებული მოსწავლის ცოდნის ამაღლება და სასწავლო პროცესში ჩართვაა.

- მშობელთა კომუნუკაციის გაუმჯობესება.
- ინფორმაციის მიწოდება სწორად.

მშობლის სასკოლო პროოცესში ჩართვა ხელს შეუწყობს მოსწვლის სწავლის ხარისხის ამაღლებას

მშობლის ჩართულობით იზრდება:

- აკადემიური მოსწრება.
- იზრდება პოზიტიური დამოკიდებულება .
- უყალიბდება სკოლისადმი პატივისცემა.
- უმჯობესდება დისციპლინა.
- იზრდება მოსწავლის ავტორიტეტი.
- იზრდება მშობლის მიმართ ნდობა.

პრობლემის ოგვარებები შესაძლებელია:

- როდესაც მშობელი ჩართულია სკოლი ცხოვრებაში, იზრდება ბავშვის აკადემიური მოსწრება.
- მოსწავლეს აქვს დასწრების მაღალი მაჩვენებელი, ხარისხიანად შესრულებული დავალებები.
- როდესაც მშობელი ჩართულია სასწავლო პროცესში ბავშვი სკოლას ამთავრებს, უფრო წარმატებით, სკოლის გაგრძელების უკეთესი პერსპექტივა აქვს.
- უმჯობესდება დაბალი მოსწრების მოსწავლის დონე.
- თუ მშობელი არ მონაწილეობს სასკოლო ცხოვრებაში არ აქვს ურთიერთობა პედაგოგებთან

ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტი თუ იქნება გათვალისწინებული სავსებით შესაძლებელია ამაღლდეს მშობელთა ჩართულობა და აკადემიური მოსწრება მოსწავლეების.

თუ მიდგომები და ჩართულობა მაქსიმალურად განხორციელდა მაშინ:

- მშობლები უფრო თავდაჯერებულები იქნებიან.
- მშობლები მეტ ყურადღებას აქცევენ საკუთარ ცოდნას.
- სკოლისადმი საზოგადოებრივი მხარდაჭერა იზრდება.
- უფრო მეტი მხარდაჭერა აქვს სკოლას მშობლის მხრიდან.
- სასკოლო პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობენ მშობლები უფრო წარმატებულია.

  ათასობით პედაგოგი ცდილობა პრობლემის მოგვარეას იმის სრული გაცნობიერებით, რომ მოსწავლე - მასწავლებელი მშობელი სასკოლო ცხოვრების ერთი მთლიანი მექანიზმია. მშობელთა ეფექტური

კომუნიკაციისათვის მასწავლენბელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი კრიტერიუმები

- მშობელთან საუბარს ნუ დაიწყებთ პრობლემით.
- გამოიჩინეთ ყურადღება მშობლის მიმართ.
- ყურადღებით მოუსმინეთ მშობელს.
- პირადად გყავდეთ მშობელი ინფორმირებული პრობლემასთნ დაკავშრებით

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე თამამად შეიძლება ითქვას, რომ მშობელთა აქტიური და სისტემატიური ჩართულობა სასკოლო პროცესის უპირობა და აუცილებელი ნაწილია. მშობლები რაც უფრო მეტად იქნებიან ჩართული შვილის განათლებაში მათ ექნებათ მეტი შანსი იმისა, რომ მომავალში ყვნენ წარმატებულები.

აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია გაიზარდოს განათლების დონე ბავშვებში და უფრო მეტად ხელი შეეწყოს მშობელთა ჩართულობას სასწავლო პროცესში ეს იქნება სავიზიტო ბარათი იმისა, რომ მომავალი თაობა იყოს უფრო განვითარებული და განათლებული.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. ბასილაძე, - „პედაგოგიკის საკითხები“,1999წ
2. თ. მარჯვანიძე. „გენდერული თანასწორობა სასკოლო სპორტის და ფიზიკურ აქტივობაში“, - 2019წ.
3. ს. გორგაძე. „ მშბელი სასკოლო ცხოვრებაში“ , - 2016
4. ნ. დათიაშვილი. „სკოლა - ოჯახი - საზოგადოება“, 2008წ.
5. თ. ბექიშვილი. „ მასწავლებელი - მოსწავლე - მასწავლებელი - უწყვეტი ჟაჭვი“, 2015წ.
6. მ. ქუფარიშვილი. „როგორი იყო ილია ჭავჭავაძის პედაგოგიური იდეები?“. 2018წ.
7. ჟან - ჟაკ რუსო. „ემილი ანუ აღზრდის შესახებ“,. 1712 – 1778წწ
8. რეკომენდაციები დირექტორებისა და მასწავლებლებისათვის - „მშობელთა ჩართულობა“, თბილისი 2015.
9. ა. ჯანეიძე „მშობელთა ჩარტულობა“, 2017წ.
10. ო.კილაძე „ მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში“, თბილისი 2019წ.
11. https://on.ge/story/50546-%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%9B- რატომ ამბობენ იაპონელი ბავშვები სკოლაში წასვლაზე
12. https://trend.ge/story/3754 - აღზრდის ხუთი მეთოდი იაპონელი მშობლებისგან
13. https://edu.aris.ge/news/8-rCeva-mSoblebTan-urTierTobisaTvis.html - რჩევები მშობლებთან ურთიერთობისათვის